პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი შაბათი 29 ნოემბერი № 274 (17917) ფასი 2 კაპ.

სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად!

ლენინური გზით, ოქტომბრის გზით

საზეიმო სხდომა ერევანში

ერევანი, 28 ნოემბერი. (საკ-დისი). სადღესასწაულოდ მორთულა სომხეთის ძველთაძველი მიწა-წყალი. ისტორიამ ზუსტად ექვსი ათწლეული გადათვალა იმ დაუვიწყარი დღიდან, როცა მუშებმა და გლეხებმა ლენინური პარტიის მეთაურობით საკუთარ ხელში აიღეს სახელმწიფო ხელისუფლება და აღმართეს ოქტომბრის დროშა. რევოლუციის ქარ-ცეცხლში შობილი საბჭოთა სომხეთი სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის პრაქტიკული განხორციელების გზას დაადგა და 60 წლის მანძილზე საუკუნეთა დარი გზა გამოიარა.

დღეს ერევანში გაიმართა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც სომხეთის სს რესპუბლიკისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

სხდომამ დიდი აღმავლობით აიარჩია სპატიგი პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საზეიმო სხდომის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას, რომელიც სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ს. დემირჩიანმა წაიკითხა.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, — თქვა თავის მოხსენებაში კ. ს. დემირჩიანმა, — საზეიმო სხდომის მონაწილეებს, კომუნისტებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს გულითადად მოგვილოცა იუბილე და ახალი მიღწევები გვისურვა. საბჭოთა სომხეთის ეკონომიკისა და კულტურის შემოგმ განვითარებაში. მან გულთბილად გაიხსენა ჩვენს რესპუბლიკაში გატარებული დღეები, მისთვის დამახასიათებელი გულითადობით ილაპარაკა სომეხ ხალხზე. ნება მიბოძეთ, საბჭოთა სომხეთის კომუნისტებს, მშრომელებს, მთელი ხალხის სახელით უღრმესი მადლობა მოვახსენო ძვირფას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ჩვენი რესპუბლიკის განუხრელ განვითარებაზე, ჩვენი ხალხის კეთილდღეობაზე დაუღალავი ზრუნვისათვის, გულთბილი მოსალმებისა და კეთილი სურვილებისათვის, რომლებიც ფრთას გვასხამს, სიამაყით აღგვავსებს ჩვენი კომუნისტური პარტიის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა სომხეთის ხალხმა ახალი ცხოვრების შენებაში ყველა მონაპოვარს მიაღწია დიდი რუსი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის აქტიური მხარდაჭერითა და მუდმივი უანგარო დახმარებით. ამ ურღვევ ძმურ კავშირში, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური დროშით შეიქმნა, სომეხმა ხალხმა, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებმა, საიმედო და მძლავრი დასაყრდენი პოვა.

შეეხო რა სომხეთის მშრომელთა მიერ უკანასკნელ წლებში მიღწეულ წარმატებებს, კ. ს. დემირჩიანმა აღნიშნა, რომ აღმშენებლობითი გაქანებით მათ განსაკუთრებული ადგილი უკავია რესპუბლიკის მატიანეში. სომხეთის სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით იქნა მიღებული, რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარების ახალ ეტაპს მოასწავებდა. ეს იყო სახალხო მეურნეობის, მეტადრე მრეწველობის სტრუქტურის არსებითი სრულყოფის ზუსტი პროგრამა.

უკვე მეათე ხუთწლედში დაიწყო კომპლექსური სამუშაოები წარმოების იმ დარგების უპირატესი განვითარებისათვის, რომლებიც შეესაბამება რესპუბლიკის ნედლეულს, ენერგეტიკისა და შრომითს რესურსებს, მის დღევანდელ მეცნიერულ პოტენციალს, ოთვალსწინებს ბუნებისა და გარემოს დაცვის ინტერესებს, ხელს უწყობს საწარმოო ძალების პროგრესულ განვითარებას, დასახული აქვს შორს გამიზნული დადებითი სოციალური შედეგების მიღწევა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საწარმოო ძალების რაციონალურ განლაგებას. მეათე ხუთწლედის დამლევს საშუალო და მცირე ქალაქებში და დაბებში გამომუშავებული მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის 35 პროცენტს აღემატება. ამასთან ზრდის ტემპი აქ 2,4-ჯერ უსწრებს რესპუბლიკის დიდი ქალაქების სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპს.

დიდი გაქანება პოვა საწარმოო ძალების განვითარებამ სოფლად, თანამიმდევრულად ხორციელდება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მისი გადაყვანა ინდუსტრიული რელსებზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დაბანდებულ იქნა ორი მილიარდი მანეთი, რაც აღემატება საბჭოთა ხელისუფლების მთელი წინა წლების კაპიტალურ დაბანდებას ამ დარგში.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მეცნიერებისა და კულტურის დარგში მიღწეულ წარმატებებს და აღნიშნა სწავლულთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა წვლილი.

კომუნისტური პარტია, სოციალისტური სახელმწიფო, ხაზი გაუსვა მან, ნიადაგ ზრუნავენ საბჭოთა ადამიანისათვის. სომხეთში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, განუხრელად უმჯობესდება ადამიანთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობები. მარტო უკანასკნელ ათწლეულში მოსახლეობის რეალური შემოსავალი 1,4-ჯერ გაიზარდა.

უმაგალითო მასშტაბით წარმოებს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ბინების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმებისა და სხვა გამაჯანსაღებელი დაწესებულებების მშენებლობა. რესპუბლიკის ყოველ 10 ათას სულ მოსახლეზე მოდის 34 ექიმი, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და ბევრ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

მატერიალური კეთილდღეობის განუხრელმა აღმავლობამ, საბჭოთა-საყოფაცხოვრებო პირობების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო მოსახლეობის სწრაფ ზრდას, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდებას. 1920 წელს რესპუბლიკის მოსახლეობა 720 ათასს შეადგენდა, ახლა კი სომხეთის ტერიტორიაზე სამ მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს.

საბჭოთა სოციალისტური სომხეთი კაშკაშა შუქურა გახდა ქვეყანათა სიავის გამო მთელ მსოფლიოში მიმოფანტული სომხებისათვის. განახლებული სამშობლო ანდამატივით იზიდავდა მშრომელ სომხეთა მასებს მრავალი სახელვარგარეთული ქვეყნიდან. განვლილ ათწლეულებში 200 ათასზე მეტი კაცი დაბრუნდა წინაპართა სამშობლოში და აქტიურად ჩაება სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში, თავისი ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქე გახდა.

მოპოვებულ გამარჯვებათა სიდიადე, სოციალიზმისა და კომუნიზმის გრანდიოზული წარმატებანი სიამაყით აღავსებენ კომუნისტებს, საბჭოთა სომხეთის ყველა მშრომელს მშობლიური ლენინური პარტიისათვის.

სომეხი ხალხი იმითაც არის ბედნიერი, რომ იგი სოციალური პროგრესის მწვერვალს ლაშქრავდა საბჭოთა ხალხების შეხმატკბილებულ ძმურ ოჯახთან ერთად, კომუნისტთა დიადი პარტიის ხელმძღვანელობით. ყოველივე, რაც ჩვენ მოვიპოვეთ, ყოველივე, რასაც მივაღწიეთ — ეს ჩვენი სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რევოლუციურ-გარდამქნელი საქმიანობის, მისი გენერალური კურსის, მისი ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების, პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა ცხოვრებაში უკვდავი ლენინური იდეების ხორცშესხმის უშუალო შედეგია.

ასრულებენ რა სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა სომხეთის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, თავდადებით იბრძვიან კომუნისტური აღმშენებლობის უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის. რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების წინასწარი მოსაცემები მოწმობს, რომ საბჭოთა სომხეთმა მიაღწია პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახულ მაღალ მიჯნებს — ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის შემდგომი აღმავლობის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიჯნებს.

სომხეთის პარტიულ ორგანიზაციას თავის ამოცანად მიაჩნია კვლავაც დაძლიოს არსებული ნაკლოვანებანი და სიძნელეები, განუხრელად განახორციელოს პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა და უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი დინამიკური განვითარება.

გამოხატავენ რა თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას ლენინის ანდერძისა და ოქტომბრის საქმისადმი, თქვა დასასრულ კ. ს. დემირჩიანმა, სომეხი მშრომელები, საბჭოთა სომხეთის მთელი ხალხი ამ საზეიმო დღეს აღუთქვამენ მშობლიურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, რომ ისინი კვლავაც თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან საბჭოთა უდიდეს მონაპოვრებს და თავდადებული შრომით განამტკიცებენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას, ღირსეულად შეხვდებიან XXVI ყრილობას.

შემდეგ გამოვიდნენ ზეიმობაზე ჩამოსული მოკავშირე რესპუბლიკების, რუსეთის სფსრ ქალაქებისა და ოლქების დელეგაციათა ხელმძღვანელები: რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი რ. თ. დემენტიევი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ი. სუსლოვი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ლიაშკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ი. კისელიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. აშიმოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. პ. გოშკევიჩიუსი, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. ბოდიული, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ი. რუბენი, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი კ. ე. ფომიჩენკო, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. რასულოვი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მ. გ. გაპუროვი, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. გ. კებინი, პარტიის როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ა. ბოხდარენკო, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დიერ-შოპრონის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბელა ხარი, საზღვარგარეთელ სომეხთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელი პოეტი გ. ადარიანი (ლიბანი), რომლებმაც მიულოცეს რესპუბლიკის მშრომელებს სახელოვანი თარიღი, სომხეთის სს რესპუბლიკისა და სომხეთის კომპარტიის მე-60 წლისთავი. მათ სხდომის მონაწილეებს, სომხეთის ყველა მშრომელს უსურვეს ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში, პარტიის ისტორიულ წინასწარდასახულობათა შესრულებაში.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

„ელმავალმშენებელ ი ს“ საწარმოო გაერთიანების საამწყობო საამქროს ამწყობი ზეინკალი გ. ბარბაქაძე და ბრიგადა რომელშიც იგი მუშაობს, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ ცვლის დავალებებს.

სურათებზე: გივი ბარბაქაძე; თბილისური ელმავალი.

ა. სააკოვის ფოტო.

მუშური პროფესიების სკოლა

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მილეწვათა გამოფენაზე აღიმართა საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა

ზუგდიდი წარმატებებით ამთავრებენ მეათე ხუთწლედს რესპუბლიკის პროფესიონალ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკები: ვადამდე შესრულდა ხუთწლედის გეგმები, გადაჭარბებით შესრულდა მოსწავლეთა მიღებისა და გამოშვების გეგმები.

საქართველოს პროფესიონალ-ტექნიკური განათლების მუშაკთა შრომითს გამარჯვებას მიეძღვნა ზაზიანი მიტინგი, რომელიც 28 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მილეწვათა გამოფენაზე.

პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი, პროფტექნიკური განათლების სისტემის მოწინავენი, საუკეთესო პედაგოგები და მოსწავლეები, წარჩინებული მუშები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სისტემის მუშაკებს, აღმზრდელებს, პედაგოგებს, საწარმოო სწავლების ოსტატებსა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს მეათე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულება მიულოცა ამხ. გ. ენუქიძემ. მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკაკ ცენტრალური კომიტეტის მისალმების ტექსტი.

საქართველოს სსრ პროფესიონალ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. რიგვავამ მხურვალე მადლობა უძღვნა პარტიასა და მთავრობას იმისათვის, რომ ისინი დაუცხრომლად ზრუნავენ მუშათა კლასის ღირსეული ცვლის მომზადებისათვის.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების ჰანგებზე რესპუბლიკის დროშა აღიმართა საქართველოს სსრ პროფესიონალ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა და პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა პატივსაცემად. (საქინფორმი).

როგორ გამოვაზამთროთ ტრაქტორი

ტექნიკის მოვლა-შენახვის რესპუბლიკური დათვალიერებისათვის

29-30 ნოემბერს გაიმართება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-შენახვის რესპუბლიკური დათვალიერება. მისი მიზანია ზამთრის პერიოდში მანქანებისა და იარაღების მოვლა-შენახვისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეოთაშორისო ორგანიზაციების, „საქსახსოფლტექნიკის“ გაერთიანებებისა და განყოფილებების მზადყოფნის შემოწმება.

დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები, მეცნიერები, სპეციალისტები. ისინი სოფლის მშრომელებს დაეხმარებიან რჩევითა და რეკომენდაციებით ტექნიკის რაციონალური მოვლის, მისი საიმედოდ შენახვის დარგში, განუმარტავენ, როგორ უნდა მოეწყოს ზამთრის პერიოდში სარემონტო სამუშაოები, რათა მეურნეობათა მანქანა-ტრაქტორების პარკი მომზადებული შეხვედეს 1981 წლის გაზაფხულს.

ძმა ხალხები, ყველაზე ხალხები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა ერევანში 1980 წლის 28 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

ძვირფასო მეგობრებო!

როცა ოჯახში დღესასწაულია, ყველა შინაური იკრიბება სადღესასწაულოდ. „ოჯახ“ — ამბობთ თქვენ; „ოჯახი“ — ვამბობთ ჩვენ. ხოლო როცა დღესასწაულია ჩვენს ყველაზე დიდ ოჯახში, იგი ყველა ძმა ხალხებს უყრის თავს. დღეს ზეიმია სომხეთის კურთხეულ მიწა-წყალზე, სადაც ყველა ჩვენი მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის წარმოგზავნილთ მოუყრიათ თავი სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და სომხეთის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავის გამო. ამ დღესასწაულს განსაკუთრებით ზეიმური ელფერი მიანიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თბილმა, გულითადმა მისალმებამ (ტაში). და, როგორც ყოველთვის, რა ამბავმაც უნდა შეგვყაროს, მთელი ჩვენი აზრები, მთელი არსება და საუკეთესო გრძნობები მიმართულია მოსკოველიკენ, კრემლისაკენ, ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის, იმ ადამიანისაკენ, რომელიც პარტიას და ხალხს მიუძღვის ლენინური კურსით, ლენინური გზით (ტაში).

იმას, რაზეც ასე საინტერესოდ და ასეთი გზნებით ილაპარაკა დიდად პატივცემულმა, ჩვენმა საყვარელმა მეგობარმა და ძმამ კარენ სეროფის ძე დემირჩიანმა, აღვიქვამთ იმ უაღრესად შინაარსიანი მოხსენების განგრძობად, რომელიც მან რუსეთის შემადგენლობაში სომხეთის შესვლის 150-ე წლისთავის დღესასწაულობაზე გააკეთა. სომეხი ხალხის ბრძოლისა და გარჯის უკანასკნელი ხუთი წელი ღირსეულად აგვარგვინებს მისი გმირული ისტორიის მთელ საბჭოურ პერიოდს. ამის საუკეთესო დასტურია თქვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავება, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებული შესრულება. და ყოველივე ეს მიღწეულია სახელოვანი სომხეთის კომუნისტური ორგანიზაციის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ერთგული და მებრძოლი რაზმის ხელმძღვანელობით (ტაში).

შემიძლია გაცნობოთ, რომ ცენტრალურ კომიტეტს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს საქართველოშიც უპატაჟა ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება ყველა ძირითადი მიმართულების მიხედვით (მქუხარე ტაში).

ამრიგად, ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკა — აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო სხვა რესპუბლიკებთან ერთად ლაშქრავენ ყველაზე მოწინავე მიჯნებს. ნიშანდობლივია, რომ ეს გამარჯვებანი მოპოვებულია იგივე თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც აფრიალდა 60 წლის წინ საბჭოების წითელი დროშა ბაქოს, ერევნის, თბილისის თავზე. და როგორც მაშინ, ახლაც, ეს გამარჯვებანი მოპოვებულია ჩვენი ლენინური პარტიის ბრძნული წინამძღოლობით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით. (ტაში).

სომეხთა და ქართველთა ხვე-ბედი ისევე როგორც სხვა ხალხების ბედ-იღბალი, განუყრელად გადაეკვრა ერთ მძლავრ ბერძოსას — რუსეთს. ამასთან დაკავშირებით მაგონდება დიდი გრიბოედოვის სახე. როცა ალექსანდრე გრიბოედოვი ქართველთა ხათაყვანო მთის — მთაწმიდის მიწას მიაბარა, მეუღლემ, ნინო ჭავჭავაძემ საფლავის ქვას დააწერა: „გონება და საქმენი შენი უკვდავია რუსთა ხსოვნაშიო...“ დღეს ჩვენ ვამბობთ: რუსეთის გენიოსის გონება და საქმენი უკვდავია სომეხთა ხსოვნაშიც და ქართველთა ხსოვნაშიც. საყოველთაოდ არის ცნობილი, რამდენ შეწუხებული იყო გრიბოედოვი ტყვეობაში მოხვედრილ სომეხთა ხვედრით, როგორ იღვწოდა მათი გამოხსნისათვის. ცნობილია აგრეთვე მისი „ბარათი ქალაქ თბილისის ახლად გაშენების საუკეთესო ხერხების შესახებ“. და როცა მუხანათურად მოკლული გრიბოედოვის ცხედარს თბილისში მოახვევნებდნენ უბრალო ურმით, გზის მთელ გაყოლებაზე, სომეხთა და საქართველოში, გულმოკლული ხალხი მწარედ დასტიროდა მას. ეს იყო კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ რუსეთის ძლიერება და სიბრძნე, სიდიადე და უძლეველობა, სიკეთე და ჰუმანურობა თანაბრად ედგრეზოდა ძარღვებში, სომეხთსა და საქართველოს, ერთნაირად ედებოდა მალამოდ მათ ლრმა იარებს.

რუსი ხალხის სიყვარული, როგორც ზედმიწევნით ზუსტად თქვა კარენ სეროფის ძე დემირჩიანმა, ჩვენ დედის მუცლიდან დაგვყვა, და ჩვენ თვალისჩინივით ვუფრთხილდებით ამ სიყვარულს, ვინაიდან იგი წარმოშვა უსაზღვრო, საყოველთაო სახალხო მადლიერებამ რუსეთისადმი, — მეტადრე მისი პროლეტარიატისადმი, მადლიერებამ იმისათვის, რომ თავიდან აგვაცილა ფიზიკური განადგურების საფრთხე, შესაძლებლობა მოგვცა გვეშენებინა ახალი, ბედნიერი საზოგადოება, დაგვეზარდა და აღგვზარდა შვილები, განგვევითარებინა ეროვნული სოციალისტური კულტურა, ფიდეინა, გვეცხოვრა და გვეშრომა, გვემუშავა და გვეღვაწა საბჭოთა ხალხის ერთიან ძმურ ოჯახში (ტაში).

ამ წლებსა და საუკუნეებში რუდუნებით გამოატარეს თავიანთი სიყვარული და ურღვევი მეგობრობა ძმადნაფიცმა ხალხებმა — სომხებმა და ქართველებმა, როცა ერთ ერს განსაკუთრებით უბერდა, მას მეორე ამოუდგებოდა ხოლმე მხარში. ყოველივე ხომ, რაც სომხეთს ემუქრებოდა, საფრთხეს უქადდა საქართველოსაც. ახლა კი ჩვენ ყველანი ვამბობთ: რაც საბჭოთა კავშირს უქადის საშიშროებას, მიმართულია სომხეთის წინააღმდეგაც, საქართველოს წინააღმდეგაც, ყოველი სოციალისტური ერისა და რესპუბლიკის წინააღმდეგაც. და ამას ნურავინ ნუ დაივიწყებს! (ტაში).

ჩვენი ძმა ხალხების მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თავგანწირვის საუკეთესო ტრადიციების ყველაზე შესანიშნავი განსახიერება გახლავთ სახელოვან რევოლუციონერთა უდრეკი კოჰორტა, რომელმაც უმაგალითო ვაჟკაცობა გამოიჩინა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში (ტაში).

მაგონდება ლეგენდარული სტეფანე შაუმიანის სიტყვები: „მებრძოლი მარტო იმიტომ კი არ ებმება ბრძოლაში, რომ გაიმარჯვოს. იგი იბრძვის, რადგან უბრძოლველობა არ შეუძლია; იგი იბრძვის, ზოგჯერ, რათა თავი გასწიროს“.

ეს თბილისში ითქვა, გამოჩენილი სომეხი პედაგოგისა და მწერლის გაზაროს აღაიანის, იმ ადამიანის საიუბილეო საღამოზე, რომელიც, ისევე როგორც ბევრი სხვა შესანიშნავი სომეხი მამულიშვილი, ქართულ მიწაში განისვენებს.

ჩვენ ბედნიერნი ვართ, ამხანაგებო, რომ მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ტრადიციები დღესაც ცოცხლობს და იფურჩქნება.

რა ტურფა, რა მშვენიერია დღევანდელი სომხეთი! ეს ხომ ნამდვილი სახწაულია ჩვენი საბჭოთა დროისა. და ამ სახწაულის მოხდენა შეეძლო მხოლოდ სომეხი ხალხის არაჩვეულებრივ გარჯას და სწორუპოვარ შრომისუნარიანობას, ხალხისას, რომლის მარჯვენას ხელეწიფება და ემორჩილება ყველაფერი — თვით ქვებიც კი. მხოლოდ გამარჯვ ხალხის მარჯვენას შეეძლო ეხარებინა ამ ხრიოკსა და ქვებში პურეული, გამოეწურა ქვიდან წყალი, ამოეყვანა ამ ქვით კერია და ეშენებინა დიდებული სრა სახალხეები, აეგო არქიტექტურის ძეგლები და გამოეთალა ზარ-გლეოვის ქვები — ხაჩკარები — ხელოვნების სწორუპოვარი ნაწარმოებები. განა ეპიკური არ არის იმ ადამიანთა გმირობა, ვინც ყოფილი ყარაბაღის ქვები ჯეჯილად ააშრიალა და წალკოტად აქცია? (მქუხარე ტაში).

დღეს ჩვენ ქებათაქებას ვასხამთ სომეხი ხალხის ამ ნაკაფს, სახსწაულმოქმედ მარჯვენას, პატივს მივაგებთ მის გენიას, მის ვაჟკაცობასა და მედგარ სულისკვეთებას, მის უტეხობას და შეუპოვრობას, და, რაღა თქმა უნდა, გულს მიხას, საოცრად უშიშარსა და მაგარს, მაღლა მთებში, გოროწ პიტალო კლდეებში რომ იშვა, ასეთ მაგარსა და ამასთანავე საოცრად ნაზსა და ფაქიზს, კაცთმოყვასობის დიდი სიყვარული რომ ათბობს და სთესავს კეთილს, გულს, რომელმაც შეაქმნევინა ხალხს ყველაფერი, რითაც დღეს არის განთქმული სომხეთი (ტაში).

წინა შესვედრისას ამ ტრიბუნიდან ჩვენ ვლაპარაკობდით ძმა ხალხებზე, ტყუპისცალ ხალხებზე. თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ ჰაოსისა და ქართლოსის ეს ლეგენდა. ჩვენმა ახალგაზრდა მხატვრებმა, ნიშანდობლივია — სწორედ რომ ახალგაზრდებმა, — დახატეს ეს ტყუპისცალები. და ჩვენც ძალიან ჩამოგიტანეთ სურათი, რომელზეც გამოსახულია ორი შესანიშნავი ბავშვი, გაბერილი ლაშლივით რომ ბგავანან ერთმანეთს. ისეთი წარმოსადეგნი, ისეთი მოხდენილნი, ხალისიანნი, მხიარულნი, შინაგანი სიხპეტაკით გაცისკროვნებული არიან, რომ თვალი ზედ დაგრჩება. და ამასთანავე, ორივეს ეტყობა უტეხი სიმტკიცე, ეტყობათ, რომ მზად არიან ჩაიდგინონ დიდი ბაგმირო საქმენი თავიანთი ხალხების სადიდებლად, სამშობლოს საკეთილდღეოდ. ისინი ერთად მოდიან, ერთად მიიბარიან ნათელი მერმისიჩაკენ ლამაზნი, 18 წლისანნი, ჯერ ყველაფერი რომ წინა აქვთ! მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო მოეცა ჩვენთვის, ძვირფასო ამხანაგებო, შესაძლებლობა — დაგვენახა ჩვენი უძველესი ხალხები ასეთ უმაწვილკაცებად, დაგვენახა ჭაბუკური ძალითა და გზნებით აღსავსენი (მქუხარე ტაში).

ნება მიბოძეთ, ვადღეგრძელო სომეხი ხალხი, ვადღეგრძელო ერი, რომლის წინაშე ხსნილია ყველა გზა და რომელსაც ყველაფერი წინა აქვს! (ხანგრძლივი ტაში).

დიდება შენდა, საბჭოთა სომხეთო! (ხანგრძლივი ტაში). დიე, მუდამ გამარჯვებული იყოს

და ყვავოდეს ჩვენი ლაჯვარი საბჭოთა სამშობლოს ყველა ძმა ხალხთა ურღვევი მეგობრობა! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

(არმენპრესი).

მარადიული მეგობრობა

სამეცნიერო სესია

მოძმე სომხეთის

დღესასწაულს მიეძღვნა

ჩვენ, კავკასიელი ხალხები ძმები ვართ, ოდითგანვე მზარში ვუდგავართ ერთმანეთს, როგორც ჩვენი მშობლიური მთები, რომლებიც თავიანთი კაშკაშა მწვერვალებით ერთმანეთის გვერდით დგანან და თავიანთი ფუძით არიან შერწყმული, დიდი სომეხი მწერალი ოვანეს თუმანიანის ეს სიტყვები გახდა ლაიტმოტივი თბილისში 27 ნოემბერს გამართული სამეცნიერო სესიისა, რომელიც სომხეთის სს რესპუბლიკისა და სომხეთის კომპარტიის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. სესია მოაწყვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალმა.

სესიის გახსნისას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. კ. ხარაძემ მისი ყველა მონაწილის სახელით მოიმდა სომხეთის მშრომელებს მიულოცა სახელოვანი იუბილე.

სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიულ საფუძვლებზე ილაპარაკა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა თ. გ. პაპუაშვილმა.

ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ნ. ი. სტურუამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა სომხეთის მშრომელთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

60 წლის მანძილზე საბჭოთა სომხეთის ეკონომიკისა და კულტურის აყვავების, როგორც სსრ კავშირის

პარტიულ კონფერენციებზე

მაღალი მომთხოვნელობით

ქალაქ ზუგდიდის მშრომელებს, რომლებმაც ვადამდე, დიდი ოქტომბრის 63-ე წლისთავისათვის შეასრულეს მეათე ხუთწლედის დავალებები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, განზრახული აქვთ წლის დამლევამდე დამატებით აწარმოონ მილიონობით მანეთის პროდუქცია. ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ხვედრითმა წონამ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის 24 პროცენტს მიაღწია.

ეს აღინიშნა ზუგდიდის VII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. წლევანდელი წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო ენგურჰესის მშენებლებისათვის, რომლებმაც დასახულ ვადაზე ადრე — 5 ოქტომბრისათვის ამოქმედეს ელექტროსადგურის მეხუთე, უკანასკნელი აგრეგატი. ქალაქის მიერ ხუთწლიანი დავალების ვადამდე შესრულებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის, ჩაის საწონი ფაბრიკის, საკონსერვო ქარხნის, მექანიკური კომბინატის მუშაკებმაც. ამ დღეებში პირველი პროდუქცია გამოუშვა ზუგდიდის მანქანათაშენებელმა ქარხანამ. განვლილ პერიოდში ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციებმა ჩააბარეს 12 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ააშენეს სამუალო სკოლა, ენგურის ქაღალდის კომბინატის კულტურის სასახლე, ახალი ხიდი მდინარე ჩხოუშიაკზე, წარმატებით მიმდინარეობს რეჩხი-ზუგდიდის წყალსადენის მშენებლობა, რომლის ამუშავება ხელს შეუწყობს სასმელი წყლით ქალაქის მომარაგების პრობლემის საბოლოოდ გადაჭრას.

დამთავრდა ექვსი ობიექტის მშენებლობა იმათგან, რომელთა აშენებაც გათვალისწინებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „1979-1985 წლებში ქალაქ ზუგდიდის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. გარდა ამისა, გრძელდება კიდევ ცამეტი ობიექტის მშენებლობა.

ზუგდიდელ მშრომელთა წარმატებებს ადასტურებს ისიც, რომ ქალაქი ორი წელია ზედიზედ ჯილდოვდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და რესპუბლიკის ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. მაგრამ, როგორც პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ითქვა, რომელიც გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ჯახუნავამ, და როგორც აღინიშნა, ეს ფაიფურის ქარხნის მუშის ა. ბებიას, ენგურჰესის მაღლივი კაშხალის სამშენებლო სამმართველოს უფროსის ნ. შარტავას, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის დირექტორის ო. ფაცაციასა და სხვების გამოსვლებში აღინიშნა, მუშაობაში ჯერ კიდევ არის ბევრი ნაკლი და ხარვეზი, გადაუჭრელი პრობლემა. კერძოდ ყველ-კარაქის ქარხანაში, ხილის წყლების კომბინატში საკმაოდ აქტიურად არ ეძიებენ შინაგან რეზერვებს. საგეგმო დავალებათა დაუსაბუთებელი კორექტირება უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპზე. წელს ცალკეულ სახეობათა ნაწარმის გამოშვება შეამცირეს ფაიფურის ქარხნაში, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში. კარგად ვერ არის მოწყობილობის დატვირთვის საკმეც, დიდია კადრების დენადობა, რაც წარმოების მუშაკთა შრომისა და ყოფაცხოვრების ორგანიზაციაში არსებული ხარვეზებით იხსნება. კონფერენციაზე მოიყვანეს ფაქტები, რომლებიც ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებებს მოწმობს.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ დაკავშირებით ყოვლად შეუწყნარებელია ადმინისტრაციული ორგანოების, სახალხო კონტროლისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკთა ლიბერალიზმის, შემრიგებლობისა და ფორმალიზმის გამოვლინებანი.

გამომსვლელებმა კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების მომართ, დასახეს საარსებო პრობლემათა გადაჭრის კონკრეტული გზები.

განვლილ წლებში რამდენადმე გაიზარდა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, გაძლიერდა მისი გავლენა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროზე, ახლა ქალაქის 101 პირველადს ორგანიზაციაში გაერთიანებულია 3.653 კომუნისტი და 177 სკკპ წევრობის კანდიდატი, შექმნილია 52 საამქრო პარტორგანიზაცია და 121 პარტჯგუფი.

კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში დასახულია იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც საჭიროა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან გამომდინარე დებულებებისა და დასკვნების უთუო განხორციელებისათვის. ზუგდიდელ მშრომელთა დასაბარბამად სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის [illegible] რსიულად შეხვედრისათვის.

პარტიულ კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ზ. ა. ჩხეიძემ.**

კონფერენციამ აირჩია საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის, სარევიზიო კომისიის შემადგენლობა, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატები.

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახლადარჩეული ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. მან პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია **კ. ვ. ჯანჯღავა**, მეორე მდივნად **ა. მ. ზოდელავა**, მდივნად **ც. მ. თორდია.** (საქინფორმი).

ვეტერანთა აზრით

ილარიონ „კომუნისტის“ საკ. კორ.). — ამ დღეებში პარტიის სიღნაღის რაიონული პარტიის მუშაობა [illegible] ტერან კომუნისტებს. სხვადასხვა თაობის პარტიულმა მუშაკებმა ისაუბრეს რაიონის ეკონომიკის, კულტურის, მომსახურების სფეროს გაუმჯობესების, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამაღლების, კადრების სწორი შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საკითხებზე. საყურადღებო წინადადებები წამოაყენეს ვეტერანმა კომუნისტებმა ვლ. ჯანიაშვილმა, დ. გელაშვილმა, კ. მაისურაძემ, ი. გურასპაშვილმა, ნ. ქართველიშვილმა, გ. ბეგიაშვილმა, დ. მერაბიშვილმა და სხვებმა.

პარტიის ვეტერანთა თვალსაზრისი აისახება საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის XXXIV კონფერენციის მუშაობის დროს.

ვლ. მჟელიშვილი.

ქვირფასი ნედლეული

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

მრეწველობის მთელი რიგი დარგების წარმატებას ბევრად განსაზღვრავს მეორეული ნედლეულის გამოყენება. ცნობილია, მაგალითად, რომ ჯართისგან მიღებული ფოლადი რკინის მადნისგან გამომდნარზე რამდენჯერმე უფრო იაფი და უკეთესია. ეს, სხვათა შორის, მაკულატურასაც ეხება. მაკულატურას, რომლითაც დაწესებულებებში, სკოლებში, სამოსწავლო და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში, საწარმოებში ყოველდღიურად ვავსებთ მაგიდასთან დადგმულ კალათებს, ვწვავთ, ან ქალაქგარეთ სანაგვეში ვყრით.

თუ ამ ბოლო ხანებში მეორეული ლითონის შეგროვების საქმე ასე თუ ისე მოგვარდა, ამას მაკულატურაზე ვერ ვიტყვით. უფრო მეტიც, ეს საკითხი თითქმის ბედის ამარაა მიტოვებული. არადა უამედლეველოდ წარმოუდგენელია ქვეყნისა და, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის ბევრი სამრეწველო საწარმოს მუშაობა. გაზეთ „კომუნისტის“ 30 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში — „როდემდე გაგრძელდება ასე“ — უკვე იყო ლაპარაკი იმაზე, თუ რა სავალალო მდგომარეობაში ჩაგდო გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა იმან, რომ მაკულატურა არ ჰყოფნიდათ. ამ ნედლეულის ნაკლებობა აფერხებს ხომლმე ისეთი ვეებერთელა საწარმოს მუშაობას, როგორიც ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატია. იგი საკმაოდ დიდი რაოდენობით სჭირდება თბილისის ქაღალდის ფაბრიკასაც. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკიდან მაკულატურა საზღვარგარეთაც გადის.

გუშგრილობას იჩენს ამ საქმისადმი რესპუბლიკის ყველა სამინისტრო, უწყება, ორგანიზაცია. მათ აბსოლუტურ უმეტესობას მაკულატურის დამზადების არავითარი გეგმები არ გააჩნიათ, ხოლო ვისაც ასეთი გეგმა აქვს, არ იწუხებს თავს მისი შესრულებით. მაკულატურის დამზადების რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში „საქმეორეულნედლეულის“ ტრესტი, ხოლო რაიონებში და სოფლად სამომხმარებლო კოოპერაციები (ცეკავშირი) აწარმოებენ. უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, რომ ეს ორგანიზაციები არაფერს აკეთებდნენ ამ მიმართულებით. ისინი შეძლებისდაგვარად ცდილობენ, მაგრამ ცარიელი მონდომებით რას გახდებიან! „საქმეორეულნედლეულის“ ტრესტს არავითარი პირობები არა აქვს ნორმალური მუშაობისათვის და, რაც მთავარია, მაკულატურის მიმღები პუნქტების მშვავი ნაკლოვანებას განიცდის. თბილისში, მაგალითად, 200-ის ნაცვლად მხოლოდ 22 უვარგისი მიმღები პუნქტი მოქმედებს. წესით 3-6 ათას მოსახლეზე მაკულატურის მიმღები ერთი ობიექტი მაინც უნდა არსებობდეს. სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომები ვალდებული არიან შეარჩიონ მაკულატურის მიმღები პუნქტები ან გამოყონ მიწის ნაკვეთები პუნქტების დასადგმელად. თბილისისა და რაიონების საბჭოების აღმასკომებმა რომ ადგილები გამოყონ, მიმღები პუნქტები სოკოებივით გამრავლდებოდნენ, საქმე ის არის, რომ სამამულო და იმპორტული მოდულები (დასაკეცი მიმღები პუნქტები), რომლებიც ახლა „საქსახმთავარმომარაგების“ განკარგულებაშია, წარმოადგენენ ტექნიკით მაღალ დონეზე აღჭურვილ ობიექტებს, მთლიანად შეესაბამებიან ტექნიკური ესთეტიკის მოთხოვნებს და მშვენივრად ერწყმიან ნებისმიერ არქიტექტურულ ანსამბლს.

ზემოჩამოთვლილი სამრეწველო საწარმოებისათვის მაკულატურა ძირითადად ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან შემოდის. შემოდის დიდი შეფერხებით, თანაც გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლები. სად არის გამოსავალი, შეძლებს კი რესპუბლიკამ თავისი საშუალებებით დააკმაყოფილოს ამ ნედლეულით ზემოთ ხსენებულ სამრეწველო საწარმოთა მოთხოვნა? მეორეული ნედლეულის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოანგარიშებით, მაკულატურის წლიური დამზადების გეგმა ჩვენს რესპუბლიკაში 50 ათას ტონამდე შეიძლება გაიზარდოს. ამჟამად კი წლიური დავალება 25 ათას ტონას ითვალისწინებს. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, პოტენციურ შესაძლებლობას და საგეგმო დავალებას შორის ძალიან დიდი შეუსაბამობაა. მიუხედავადან ამისა „საქმეორეულნედლეულის“ ტრესტი ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ასეთი გადიდებული დავალების შესრულებას ვერ კისრულობს. ანალოგიური მდგომარეობაა ცეკავშირის სისტემაშიც.

1979 წლის 15 ნოემბერს ზემდგომმა ორგანოებმა მიიღო დადგენილება 1980 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში მეორეული ნედლეულის დამზადების, შეგროვების და ჩაბარების შესახებ. სამწუხაროდ, ეს დადგენილებაც ძალზე არადამაკმაყოფილებლად სრულდებოდა. ამის გამო საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის ოქტომბერში გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მეორეული ნედლეულისა და განსაკუთრებით მაკულატურის დამზადების გეგმის შესრულებისათვის.

მაკულატურის დამზადების „გეგმას არ ასრულებენ რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, სახელმბრ. თბილისის ლენინის, საქარხნო, 26 კომისრის, კალინინის, ორჯონიკიძის რაიონების, გაგრისა და წყალტუბოს საშუალო სკოლები. ერთ გრამ მაკულატურასაც არ აბარებენ სახელმწიფოს თბილისის ფეხსაცმლის № 2, № 6 სამკერვალო ფაბრიკები, ქარხანა „ელექტროიზოლიტი“, სამტრესტი, თბილისის მაღაზიები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

დროა, საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა ამ საკითხისადმი მთლიანად შეიცვალონ დამოკიდებულება. მაკულატურის დამზადების საკითხი სასოფლო რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. მხოლოდ მათ შეუძლიათ გამოყონ ადგილები მეორეული ნედლეულის მიმღები პუნქტებისათვის და ამით დახმარება გაუწიონ სამრეწველო საწარმოებს. ალბათ საჭიროა, რომ ყველა ორგანიზაციაში მაკულატურის დამზადების საქმეს თითო კაცი მაინც ხელმძღვანელობდეს. სამინისტროებმა, უწყებებმა და საწარმოებმა თავიანთი ტრანსპორტით უნდა უზრუნველყონ ნედლეულის მიმღებ პუნქტამდე მიტანა-ჩაბარება.

დროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი მაკულატურის დამზადებას. ნუღარ გადავდებთ ამ საკითხს ხვალისათვის. თუ მონდომება იქნება, წლის ბოლომდე კიდევ ბევრი რამის გაკეთებას შეძლებთ. ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში ეს პრობლემა დღის წესრიგში აღარ იდგეს. ამით სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების პერიოდში ფასდაუდებელ საქმეს გავაკეთებთ.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

სუსხიანი სტრიქონები

სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ვერფასი ნედლეული — შაქრის ჭარხალი წლეულს ქარელის რაიონის მშრომელებმა 40 ათასი ტონა უნდა დაამზადონ. აქაურები რომ რესპუბლიკაში ამ კულტურის მოყვანის აღიარებული ოსტატები არიან, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ დავალების წარმატებით განაღდებისათვის გამოცდილებასა და მონდომებასთან ერთად შრომის სწორი ორგანიზაცია, შაქრის ჭარხლის ამოღების ოპტიმალური აგროვადების დაცვა რომ არის საჭირო, არც ეს უნდა იწვევდეს აზრთა სხვადასხვაობას, მაგრამ დვანის კოლმეურნეობის (თავჯდომარე — ბ. მახაპაშვილი) მეჭარხლეები „ტკბილ პლანტაციებში“ დიდი დაგვიანებით გავიდნენ.

რუსის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი — თ. თხელიძე), რაიონში ჭარხლის მთავარი მწარმოებელია. მიმდინარე წელს მან სახელმწიფოს 6.400 ტონა შაქრის ჭარხალი უნდა მიჰყიდოს. დავალების შესრულება საეჭვოა და ამას აქაური თავკაცები გვალვას აბრალებენ.

გვალვა კი, მართალია, იყო, მაგრამ როცა მიწას უჭირს, სწორედ მაშინ გამოჩნდება ხოლმე მეურნე კაცის მოხერხება. სხვები რომ ბუნების წყალობას ელოდებოდნენ, მეორენი მცირე მელიორაციით, დასაწვიმი აგრეგატებით, გადასატანი ტუმბოებით უტევენ გვალვას. ასე მოიქცნენ დირბის, დედოფლის, ქარელის, ქვენატკოცის, საზოგადოებრივ მეურნეობათა მშრომელები. მათ არა მარტო დაღუპვას გადაარჩინეს მოსავალი, წლეულს ასობით ტონა ზეგიგმითი შაქრის ჭარხლის მიღებას აპირებენ.

ამ კულტურას კი რუსელებმა თავიდანვე ვერ მიხედეს. 174 ჰექტარი ფართობიდან 54 ჰექტარი აგროვადების უხეში დარღვევით დაითესა. 10 ჰექტარი კი მხოლოდ იმიტომ დაიღუპა, რომ დროულად ვერ მორწყეს.

ხვედურეთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — მ. ფეიქრიშვილი) თავის მართლების მეორე უკიდურესობაში ვარდებიან, როცა აცხადებენ, ჭარხალი ჭარბენინან ფართობებზე გვეთესა და ამიტომ ვერ მოვიყვანეთ, დაგვეღუპაო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხვედურელები წლეულს სახელმწიფოს 600 ტონამდე ჭარხალს დაიკლებენ, გეგმა კი 4.193 ტონა შაქრის ჭარხლის დამზადებას ითვალისწინებს.

უკეთესად არც ფცის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — ა. ჯავახიშვილი) ჭარხლის ნათესები გამოიყურება. ნათესების იმ მეჭარხლეებმა წარმატებით გაართვეს თავი გეგმასაც და ვალდებულებებსაც. შაქრის კომბინატში 1.106 ტონა შაქრის ჭარხალია გაგზავნილი.

ენერგიულად დაიწყეს მეჭარხლეებმა თავიანთი ალოობა ქარელის კოლმეურნეობაში. ქარელელები ოჯახებით გამოვიდნენ პლანტაციებში წლის ნაამაგარის დასაბინავებლად. მათ ცოტა ღონე და ენერგია როდი მოახმარეს იმას, რომ ასე საამოდ ეხასხასა ნათესებს, ნაყოფიც მსხვილი და საღია. თითოეული მათგანი 900 გრამზე მეტს იწონის. დღეისათვის კოლმეურნეობაში 2.182 ტონა შაქრის ჭარხალია დამზადებული. დიდია მოსავლიანობაც: საშუალოდ ნაცვლად 395-ისა 410 ცენტნერ მოსავალს იღებენ, ზოგიერთ ფართობზე კი — 600-700 ცენტნერსაც.

შემოწმების დღისათვის კი რაიონის მშრომელებმა გადამშუშავებელ მრეწველობას 24.000 ტონა შაქრის ჭარხალი გაუგზავნეს. ეს მაჩვენებელი უფრო მეტი იქნებოდა, ხაშურის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ავტომანქანები ქარელის რაიონში ჭარხლის გადაზიდვაზე მთელი დატვირთვით რომ მუშაობდნენ. არის ჭარხლის მინდვრად დატოვების შემთხვევები, იზრდება დანაკარგები და, მაშასადამე, შაქრის გამოსავლიანობაც ქვეითდება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში 1980 წლის შაქრის ჭარხლის მოსავლის დროული აღების, გადაზიდვისა და გადამუშავების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო შაქრის ჭარხლის გადაზიდვაზე ავტომობილების დიდმწარმოებლურ მუშაობას მთელი დღე-ღამის მანძილზე შაქრის ჭარხლის გადამუშავებისას, ჭარხლის შეუფერხებელ მიღებასა და მექანიზებულ გადმოტვირთვას ყოველგვარი ტრანსპორტიდან.

საჭიროა ეს კარგად ახსოვდეთ რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტროს იმ ავტოსატრანსპორტო გაერთიანებებს, რომლებიც მეჭარხლეებს მოსავლის აღებაში ეხმარებიან.

გ. ჯაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჭარხალი: ვისთვის ტკბილი, ვისთვის მწარე...

საკდესისა და ახალი ამბების საagentoს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

საერთაშორისო ცხოვრება ტელეეკრანის ჩარჩოში

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველმა კომიტეტმა მიიღო დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია მსოფლიო გაერთიანების 80-იანი წლების ძირითადი მიზნები და ამოცანები.

ძირითადი მიზნებით, კერძოდ, გათვალისწინებულია შეჩერდეს და უკუიქცეს გამალებული, განსაკუთრებით ბირთვული გამალებული შეიარაღების პროცესი; დაიდოს და განხორციელდეს განიარაღების, განსაკუთრებით ბირთვული განიარაღების ეფექტიანი შეთანხმებანი, განვითარდეს განიარაღების დარგში 70-იან წლებში მიღწეული შედეგები, განმტკიცდეს საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად; განიარაღების ღონისძიებათა წყალობით დაზოგილი სახსრების არსებითი ნაწილი მთხმარდეს ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებს.

მიღებულ დოკუმენტში აისახა ამ დარგის ძირითადი ამოცანები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს წერილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი, და რომლებიც ეხება 80-იანი წლების გამოცხადებას განიარაღების მეორე ათწლეულად.

პირველმა კომიტეტმა განსაზღვრა უმთავრესი ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს მოლაპარაკება. საქმე ეხება იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სპეციალურ სესიამდე, რომელიც 1982 წელს უნდა მოეწყოს, მომზადდეს ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების, ყოველგვარი ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ, ეფექტიანი საერთაშორისო შეთანხმებანი უბირთვო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცების თაობაზე.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ უპირველესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ისეთ ღონისძიებებსაც, რომლებიც განიარაღების კომიტეტის ფარგლებს გარეთ განიხილება, კერძოდ, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულების რატიფიკაციას და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-3 შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკების დაწყებას, შეთანხმების მიღწევას ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ორმხრივი შემცირების შესახებ.

პეკინი განაგრძობს პროვოკაციებს

პანოი, 28 ნოემბერი. ჩინეთის მხედრობონი განაგრძობს შეიარაღებულ პროვოკაციებს ვიეტნამის საზღვარზე, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

18-დან 25 ნოემბრამდე ჩინეთის ჯარებმა არაერთხელ დაუშინეს მასირებული საარტილერიო ცეცხლი და მოახდინეს შეიარაღებული თავდასხმა ვიეტნამის ჩრდილოეთი პროვინციების ხატუენის, ლანგშონისა და კუანგნინის მთელ რიგ დასახლებულ საზღვრისპირა პუნქტებზე, აგდილობრივ მოსახლეობას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს.

ამავე პერიოდში, აღნიშნავს ვიეტნამის საინფორმაციო საagentო, ჩინეთის სამხედრო გემები მრავალჯერ შემოიჭრნენ ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში ჩრდილოეთის პროვინციების კუანგნინისა და თხანხოის და სამხრეთ პროვინციის ფუკჯანის სანაპირო რაიონში.

ინგლისის პროგრესული ორგანიზაციის „ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიტიკური პატიმრებისათვის ადამიანის უფლებათა მინიჭების მოძრაობის“ მოწოდებით ლონდონში მოეწყო პრემიერ-მინისტრის მ. ტეტჩერის რეზიდენციის ორდღიანი პიკეტირება. მისმა მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ჩრდილოეთ ირლანდიის საკონცენტრაციო ბანაკის ტუხაღების მოთხოვნებს.

სურათზე: პიკეტის მონაწილეები.

იუპი-საკდესის ტელეფოტო.

საიდუმლო დირექტივა

ვაშინგტონი, 28 ნოემბერი. ჯ. კარტერის ადმინისტრაციამ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის პროცესისადმი მიდგომა აღრევე შეცვალა, ჯერ კიდევ 1980 წლის იანვრამდე, როცა პრეზიდენტმა ოფიციალურად გასცა განკარგულება — გაეყინათ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების რატიფიკაცია „ავღანეთის ამბების“ საბაბით.

ეს ჩანს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიიდან, რომელიც იუწყება, რომ ჯ. კარტერმა ჯერ კიდევ 1979 წლის 14 აგვისტოს მოაწერა ხელი № 50 საიდუმლო დირექტივას. ამ დირექტივით სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შემდგომი პროცესი დამოკიდებული ხდებოდა იმაზე, თუ რამდენად უწყობს იგი ხელს „ამერიკის მიზნების მხოწევას თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების დარგში“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახლანდელი ადმინისტრაციის მეთაურმა პრიორიტეტი მიანიჭა სამხედრო ხარჯების ზრდას და ახალ სისტემათა იარაღის წარმოების გაჩაღებას.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, რომ თეორი სახლის მეთაურის პოლიტიკის ეს შემობრუნება გააკრიტიკეს, კერძოდ, მისი მთავრობის წევრებმა, მაგრამ „კარტერი თავისას არ იშლიდა“.

„ვაშინგტონ პოსტის“ მიერ მოყვანილი ფაქტები კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ახლანდელი ადმინისტრაცია წინასწარ ემზადებოდა თავისი პოლიტიკის გადასასინჯად.

მიწისძვრის შედეგები

რომი, 28 ნოემბერი. გადადგა იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. რონიონი. ამ გადაწყვეტილებას აქ უკავშირებენ ტელევიზიით იტალიის პრეზიდენტის ა. პერტინის გამოსვლას, რომელმაც ერისადმი მიმართვაში პირდაპირ დასდო ბრალად მთავრობას და, უწინარეს ყოვლისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ვერ შეძლეს ეფექტიანი დახმარება გაეწიათ მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის. ამ სტიქიური უბედურების შედეგად აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთში, ოფიციალური მონაცემების თანახმად, დაიღუპა თითქმის სამი ათასი კაცი. დაახლოებით ექვსი ათასი კი დაშავდა.

პრეზიდენტმა, რომელიც პირადად ჩავიდა დაზარალებულ რაიონებში, განაცხადა, რომ დაზარალებულთ დროულად „არ გაუწიეს“ დახმარება. მიწისძვრიდან ორი დღე-ღამის შემდეგ ბევრ დაზარალებულ დასახლებულ პუნქტში ჯერ კიდევ არ იყო გაგზავნილი მაშველი ბრიგადები. „დაშვებულია სერიოზული შეცდომები, — თქვა ა. პერტინიმ, — და ბრალეულნი უნდა დაისაჯონ.“

პრეზიდენტმა იტალიელებს მოაგონა, რომ ჯერ კიდევ 1970 წელს პარლამენტმა მოიწონა ქვეყანაში სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთელი რიგი ღონისძიებანი, მაგრამ ისინი არ განხორციელებულა. სიცილიაში, სადაც 1968 წელს მოხდა დამანგრეველი მიწისძვრა, მაშინ უსახლკაროდ დარჩენილი 35 ათასი კაცი დღემდე დროებით ბარაკებში ცხოვრობს. ამ ადამიანებისათვის სახლების ასაშენებელი ფული გამოიყო, აღნიშნა პრეზიდენტმა, მაგრამ ამ სახსრებს არ მიუღწევია დაზარალებულებამდე. „ვინ სარგებლობს ამ უბედურებებით? არიან თუ არა ეს ადამიანები საპყრობილეში, სადაც უნდა იყვნენ კიდევ?“ — დასვა კითხვა პრეზიდენტმა.

როგორც გაზეთი „კორიერე დელა სერა“ წერს, ა. პერტინის ნათქვამმა „უძლიერესი შოკი“ გამოიწვია როგორც პარლამენტში, ისე პოლიტიკურ პარტიათა შტაბ-ბინებსა და გაზეთების რედაქციებში. გაზეთის აზრით, პრეზიდენტის მიმართვა „უშედეგოდ ვერ დარჩება.

აქ გამართულმა მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომამ განიხილა მთელი რიგი ღონისძიებანი, კერძოდ, გადაწყვიტა გამოიყოს 1.200 მილიარდი ლირა დაზარალებული რაიონებისათვის. მაგრამ პრესა აღნიშნავს, რომ ეს ღონისძიებანი აშკარად არ არის საკმარისი.

„საგანგებო სტიქიური უბედურების“ ზონებად გამოცხადებულ იტალიის სამხრეთ ოლქებში ვითარება კვლავ დრამატულია. ათიათასობით კაცი უსახლკაროდ დარჩა, მათ აკლიათ სურსათი და წყალი. კატასტროფის ადგილიდან მოწყობილი სატელევიზიო რეპორტაჟების მიხედვით ასობით ადამიანი ცოცხლად დაიმარხა სახლების ნანგრევებქვეშ, მაშველები და ადგილობრივ მცხოვრებთაგან შექმნილი მოხალისეთა რაზმები ვერ წმენდენ ნანგრევებს, რადგან არა აქვთ ექსკავატორები, ბულდოზერები და სხვა ტექნიკა.

ამხილეს დანაშაულებრივი ფაქტები

ქაბული, 28 ნოემბერი. აქ ადგილობრივ და უცხოელ ჟურნალისტებს გაუმართეს პრესკონფერენცია, რომლის დროსაც ამხილეს ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ეგრეთ წოდებულ „ჯიჰადის ისლამურ მებრძოლთა“ დანაშაულებრივ საქმიანობას ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ. პრესკონფერენციის მონაწილეებს უჩვენეს უცხოური იარაღი, რომელიც სახალხო არმიის ძალებმა და უშიშროების ორგანოებმა აპყარეს ბანდიტებსა და დივერსანტებს. აქ იყო ჩინური და ეგვიპტური ავტომატები, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დამზადებული სწრაფსასროლი შაშხანები, პლასტიკის ბომბები, ეგვიპტური ქიმიური გრანატები, ინგლისური ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური ყუმბარები.

პრესკონფერენციაზე მყოფი ჟურნალისტები და ქაბულში აკრედიტებული უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა წევრები გაეცნენ ფოტოსურათების გამოფენას, რომლებზეც აღბეჭდილი ფაქტები ასახავენ, როგორ უსწორდებიან ბანდიტები მასწავლებლებსა და მოსწავლეებს.

ვიეტნამი „ავღანელ ჯიჰადისტებს“ ადანაშაულებს

ბანგკოკი, 28 ნოემბერი. ავღანეთის ხელისუფლებამ ბანგკოკში ინფორმაციის ბიურო გაუგზავნა ინფორმაციის ბიუროებს, ინფორმაციის სააგენტოებს, ელჩებს, ბანგკოკში აკრედიტებულ ელჩებს, ეროვნული ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ხელმძღვანელებს, ბანგკოკში

ბევრი წიგნის, „რა მოხდა აბაშაში“, ერთ-ერთმა გმირმა, სახელგანთქმულმა კოლმეურნემ კარლო გრიგოლიამ წერილი მომწერა. წერილი — აღსარება.

პირად წერილში მეგობარი მეგობარს რაღას არ გაუმხელს, — გულს ისე ამოაბრუნებს, ლაქად და ნაკად შიგ არაფერს დაბეჭდავს.

ყველა აღსარება, რა თქმა უნდა, მესამე კაცს არ გაეგონება, მაგრამ გრიგოლიას გულისტკივილს ამჯერად ვერ დავმალავ, რამეთუ იგი შეიძლება არაერთი და ორი კაცის გულისტკივილი და სადარდელი იყოს.

„ძვირფასო კონსტანტინე!

არ მოგწერდი ამ წერილს, რომ ძალიან გულდაწყვეტილი არ ვიყო. მინდა ყველაფერი გითხრა, რაც გულში დამიგროვდა. ნუ დამცინებ, ტრაბახში ნუ ჩამომართმევ, თუ ნამეტანი შევიქო თავი. ბოლოს და ბოლოს ერთ ვინმეს ხომ უნდა ვუთხრა ყველაფერი!

დავიწყებ იმ დღიდან, როდესაც აბაშის რაიონის ხელმძღვანელად გურამ მგელაძე დანიშნეს. მან გაიგო ჩემი სული და ჯერ ბრიგადა ჩამბარა, მერე, კარგი მუშაობა რომ შემატყო, აგროუბნის უფროსად დამნიშნა. თუ რა გავაკეთე იმ წლებში, ამას უკვე გაეცნო ხალხი თქვენი წიგნის ფურცლებზე. მე მხოლოდ დავუმატებ, რომ პირველსავე წელიწადს გავწმინდე ეკალ-ბარდისაგან დაფარული ორასი ჰექტარი ფართობი. ამ ბერწი მიწების გამოყენება არაფრად არ შეიძლებოდა: არც საძოვრად, არც სახნავ-სათესად. მთელი ერთი თვე ვამუშავებდი გრეიდერს და ვასწორებდი. მერე საიდან არ ჩამოვიტანე სასუქი და მოვაყარე.

მოვიყვანე კიტრის, პამიდორის და კომბოსტოს არნახული მოსავალი“.

აუჩქარებლად, ჯერ-ჯერად ჩამოთვლის გრიგოლია, თუ როგორ გარდაქმნა მთელი სოფლის ცხოვრება მისმა აგროუბანმა, როგორ გამართა წელში ცოდვა-ადუღებული სოფელი.

„ახლა მარანში ყოველი მესამე ოჯახი ახალ სახლს იშენებს. სამტრედიაში და სხვაგან გაქცეულები უკან ბრუნდებიან. ჩემი და ჩემი ამხანაგების ოფლმა დაბარუნა ისინი... გურამ მგელაძის კაბინეტში რომ შვიდი საკავშირო წითელი დროშა ფრიალებს, იმ ფრიალს ჩემი მარჯვენაც ძალიან შეეწია.

ტები მოგვეშველებიან! მეზობლები არ დაგვტოვებენ ბედის ანაბარად!

ვითომ გულს მიკეთებს სტუმარ კაცს?

არა, მე კარგად ვიცნობ აბაშის რაიკომის პირველ მდივანს. ყველა ყველა და, — გურამ მგელაძე გულის გამკეთებელი კაცი არ არის.

თუ არა სწამს, თუ არ სჯერა, — შავს გათეთრებას არ დაუწყებს. არც თავის თავს დაინდობს და არც შენ შეგიბრალებს. მწარე სიმართლეს პირდაპირ გეტყვის...

გურამ მგელაძეს უყვარს, რასაც აკეთებს. ამიტომ იმის ნაამაგარს არასდროს არ ეტყობა ძალდატანების, უსიხარულო შრომის ნიშან-კვალი. სწორედ ამ თვისებას უნდა მიეწეროს ის ამბავი, რომ იგი სწრაფად და ადვილად იახლოვებს ადამიანებს. რაგინდ უცხო და შორეული არ უნდა იყოს გურამის სტუმარი, არ შეიძლება მისი ეცნობა სტუმარსაც არ გადაედოს, მისი სატკივარ-სანუხარი ბოლომდე არ გაიზიაროს...

თქვენი შეწყდა. ციდან მხოლოდ უგემური ფინული იბნევა. ველ-მინდორმაც თითქოს თვალში გამოიხედა. გზისპირა თხრილებში ჯერ კიდევ ბობოქრობს ღვართქაფი. ზოგან ეზოში იმოდენა ტბა დამდგარა, — იხვები თამამონონდენ დასრიალებენ ნაღმა-უკუღმა.

მანქანა გაჩერდა.

— მოვედით! — სთქვა გურამმ.

მანქანის კარი გავაღე და გავიხედე, იქაობა ვერ ვიცანი. ვერც ეს ლამაზი რკინის ჭიშკარი, ვერც ვეება თალარი, ნახევარ ეზოს რომ ფარავდა.

თალარის ბოლოში მაღალი ორსართულიანი სახლი სჩანდა. ხატზე დავიფიცებ, რომ ეს სახლი პირველად დავინახე ამ საღამოს.

— სად მომიყვანე, გურამ? — ვკითხე გაოცებულმა

— სადაც მოვდიოდით. გრიგოლიასთან!

— ამ წვიმაში რა გეხუმრება, კაცო?

— ე, შეხედე, თუ ვხუმრობ — გაიცინა მგელაძემ და ხელი გაიშვირა.

ქვის განიერ კიბეზე, როგორც დადიანი, დინჯად ჩამოდიოდა კარლო გრიგოლია.

პირველად ხუთი წლის წინათ ვესტუმრე ამ კარმიდამოს. ძველი ოდა-სახლი, ჩაშავებულ-ჩაყამებული მესერი და წაფერდილი ჭიშკარი, ცარიელი სასიმინდე, ცარიელი საქათმე... ასეთი დამამახსოვრდა კარლო გრიგოლიას სახლკარი.

გაღატაკებული მარნის კოლმეურნეობა ნახევარ კილო სიმინდსაც ვერ ანაწილებდა შრომადღეზე. შინაური ფრინველი ვიღას ახსოვდა, კუჭის მოსატყუებელი სიმინდი იყო საძებარი. უჭირდა გრიგოლიას ოჯახის შენახვა, სამჯერ ნასამართლებ კაცს ისედაც ალმაცერად უცქერდა სოფელი, სასიკეთო საქმეს ახლო არ გააკარებს, გარიყეს და გაინაპირეს. იფიქრა გრიგოლიამ, ამ სოფელში აღარ დამედგომება, გავყიდი აქაობას და სადმე გადავიკარგები, დარაჯის ადგილს მაინც მომცემენო...

მკითხველმა უკვე იცის, რამ შეუშალა ხელი, რომ იგი სოფლიდან არ წასულიყო.

ერიდიოდნენ წლები. ერთი-ორხელ კიდევ ჩავედი მარანში. თვალყურს ვადევნებდი, რა სწრაფად ადიოდა აღმართზე ნიჭიერი, მკლავმოუღლელი, საოცარი ალღოსა და დაჩემების კაცი, კარლო გრიგოლია. ამიტომ ახლა, ამ წვიმიან საღამოს, თვალებს არ დავუჯერე, როდესაც მასპინძელმა გადამკოცნა და მართლა სადადიანო სახლში შემიძღვა.

სადადიანო — გარეთაც და შიგნითაც!

ძვირფასი ავეჯი, ხალიჩები კედლებზე, ხალიჩები იატაკზე, პიანინო, მუსიკალური კომბაინი, კარადის შუშაბანდში გამოფენილი ბროლის ვაზები და ფაიფურის ჭურჭელი... და ბოლოს, ქვედა სართულზე, ლამაზად გაწყობილ დარბაზში ახალთახალი ბილიარდი დავინახე.

არა, მკითხველო, არ იფიქრო, რომ სიტყვა წამცდა! ნამდვილად დიდი, სათამაშო ბილიარდი.

— კარგად თამაშობ, კარლო? — ვკითხე მასპინძელს.

— მაგის სათამაშოდ სად მცალია, ბატონო კონსტანტინე! — შეიკვირვა კარლომ.

— აბა რატომ შეიძინე, შე კაცო?!

— რა ვიცი, — ცოტა დაიმორცხვა მასპინძელმა: — შევხედე და მომეწონა! ძალიან ლამაზად არის ნაკეთები! ჩემი ვეფხიაც ხანდახან ახაჭუნებს!

გულში პირჯვარი გადავიწერე და დარბაზიდან გამოვედი.

მართალია, წელგაუშლელი მუშაობა უყვარს კარლო გრიგოლიას, მაგრამ არ მეგონა, თუ ეს ხუთი წელიწადი ზღვად გასკდებოდა მისი ოჯახის კიდე-ყურეში. ნაკლები სასწაული არც ეზოში მელოდა. სახლის წინ — გაარიალებული ავტომობილი ვოლგა. სახლის უკან, — ცხვარ-ძროხა და ღორი, უთვალავი ქათამი და ინდაური, პირთამდე გაძეძგილი ვეება სასიმინდე და ყველგან ისეთი სისუფთავე, თითქოს ამ კარმიდამოში შვიდი ქალ-რძალი ერთად ტრიალებდეს.

ოჯახში კი სამი სული ცხოვრობს: კარლო, მისი მეუღლე დონარა და ვაჟი ვეფხია, მეექვსე კლასის მოსწავლე.

შრომის ანაზღაურების აბაშურმა წესმა ზეცა გაუხსნა აქაურ გლეხკაცს და როგორც ერთხელ უკვე დაიწერა „რა მოხდა აბაშაში“, ამ წესმა ყელამდე მოჰყარა სახელმწიფო ბეღელიც და კარის სასიმინდეც.

— ქალბატონო დონარა, შარშანდელი ჩაბარების ქვითრები თუ შეინახე!

— კი შევინახე, მარა...

დიასახლისმა სათქმელი არ დაამთავრა, მხოლოდ ჩუმად გაიღიმა და მაგიდაზე ხილი და ტკბილი სასმელი შემოდგა.

— რა მარა, ქალბატონო დონარა?!

— მასალები სულ ჩემგან მიგაქვს, პატივცემულო მწერალო, წიგნში კი ერთხელაც არ მახსენე!

— შენმა ქმარმა ამიკრძალა, ჩემო დონარა! შეშინდა, სახელს გაითქვამს და მიმატოვებსო!

დონარამ გულიანად გადაიკისკისა.

— მაგ ჭკუაზე ვარ ახლა სწორედ! წავალ და მაგას ჩავატოვებ ხელში ამ გადაბრიალებულ სახლკარს! მეტი არ გაიხარა ჩვენმა დამაწყევარმა!

ქვითრები გამოიტანა, ფანქარი მოვიმარჯვე და როგორც იმ საღამოს ჩავიწერე ჩვენი ანგარიში, ასევე უცვლელად ვბეჭდავ გრიგოლიას ოჯახის შარშანდელი შემოსავლის ნუსხას.

კარლო გრიგოლია

წლიური ხელფასი	2.700 მან.
ფულადი პრემია	4.000 მან.
სიმინდის პრემია	4.000 კილო.
ჩალა პრემია	0.900 კონა

დონარა გრიგოლია

კარის მეურნეობიდან სახელმწიფოს მიყიდა	
3,000 კილო ხორცი	მიიღო 6.000 მან.
54 კილო აბრეშუმის პარკი	მიიღო 600 მან.
650 კილო ტყემალი	მიიღო 150 მან.
56 კილო ყველი	მიიღო 150 მან.
კომბოსტოს მოყვანისათვის	პრემია 550 მან.

მეექვსე კლასის მოსწავლე ვეფხია გრიგოლია

მან უკვე გაითქვა სახელი, როგორც თავისი მამის ნიჭიერმა და მუყაითმა შეგირდმა. ამ პატარა მებაღეჩემ, ფრიადოსანმა მოსწავლემ, შარშან სახელმწიფოს 800 მანეთის საზამთრო ჩააბარა.

ახლა კი გავკრათ ხელი საანგარიშო კოჭებს, — გამოდის, რომ შარშან გრიგოლიას ოჯახმა მარტო ფულად მიითვალა 14,950 მან. (თოთხმეტი ათას ცხრაას ორმოცდაათი მან.), ამას უნდა დავმატოთ ოთხი ტონა სიმინდი და ცხრაასი კონა ჩალა. ისიც უნდა ითქვას, რომ გრიგოლიას ოჯახი არავითარ ბოსტნეულსა და სურსათ-სანოვაგეს ბაზარზე არ ყიდულობს.

ასეთი შემოსავლის პატრონი ბილიარდს კი არა, რატომ სასეირნო „პარახოდს“ არ იყიდის სმელთაშუა ზღვაზე!

მაშ რამ დასწყვიტა გული კარლო გრიგოლიას? რა დააკლეს, რამ გამოიწვია მისი ასეთი გულისწყრომა, რაში მოექცნენ უსამართლოდ?!

ყველა ამ კითხვაზე პასუხიც იქვე, წერილის ბოლოში იყო გაცემული. არასრული პასუხი.

„ასე თავდაუზოგავად ვიბრძვი და ვშრომობ, მაგრამ არაფერი არ დამიფასდა და ძალიან მტკივა გული. ზოგიერთ კოლმეურნეს ჩემი ნახევარიც არ გაუკეთებია, ცაში კი აიყვანეს! განა მშურს და მეხარბება ჩემი მეზობლის ამაღლება ქვეყნის თვალში, მაგრამ მე რა დავაშავე, რატომ ამიარეს გვერდი...“

მეტი არაფერი!

ასე თავდებოდა ეს უცნაური წერილი.

სახტად დავრჩი. ამ სახლკარისა და შეძლების პატრონს კიდევ რა ჰქონდა სასაყვედურო და გულდასაწყვეტი?! აგერ კედელზე სურათი — კარლო გრიგოლია ესაუბრება რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. აგერ გრიგოლიას სათბურს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები და სოფლის მეურნეობის მუშაკები ათვალიერებენ. სად არ შეხვდება კაცი კარლო გრიგოლიას — ცისფერ ეკრანზე, რადიო-ტალღებზე, წიგნისა და გაზეთის ფურცლებზე... მაშ რამ დაუჩაგრა გული ამ ლომკაცს?!

ერთი სული მქონდა, სანამ კარლოსთან მარტო დავრჩებოდი და აღსარებას ბოლომდე ვათქმევინებდი.

ბოლოს, როგორც იყო, სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, დონარამ სუფრის ალაგება დაიწყო. მე და კარლომ აივანზე გავიტანეთ სკამები. პირველი სიტყვის პოვნა გამიძნელდა. ვამჩნევდი, რომ თვითონ კარლოც შებოჭილი იყო, ძველებურად ლაღად ვერ გამოიყურებოდა, თითქოს დარცხვენილი მომჩერებოდა...

— რამ დაგაწერინა კაცო ასეთი წერილი!

ვუთხარი თუ არა, მაშინვე მივხვდი, კარლო ჩემგან სხვა სიტყვას ელოდა.

მეტ გულისხმიერებას, მეტ თანაგრძნობას.

— რამ დამაწერინა?!

ერთბაშად იფეთქა კარლომ, სკამიდან წამოვარდა, უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ სათქმელს დროზე მოუკრა პირი, გულზე ხელი მიიდო და მითხრა:

— ბოდიში კონსტანტინე! ხანდახან ვერ ვერევი ამ გულს.

ცოტა გაიარ-გამოიარა, მერე ისევ სკამზე დაეშვა და ჩაყუჩდა.

— მითხარი, კარლო! ჩემთან დასამალავი რა გაქვს!

— ცოტა მაცალე და გეტყვი.

წვიმამ გადაიღო, არ გასულა ერთი-ორი წუთი, რომ ჩხორის თავზე ამღვრეულ ღრუბლებში მზემ გამოიხედა.

კარლომ თავი აიღო და მოულოდნელად მკითხა:

— პირველი მაისის დღესასწაულზე ყოფილხარ აბაშაში?!

— მაისობაზეც ვიყავი და ოქტომბრობაზეც.

— მერე?!

— რა მერე! — ვერ გავიგე, საით უქცევდა ჩემი მასპინძელი.

— რაიონის ყველა სოფლიდან ჩამოვიდნენ მონინავე კაცები, მაგრამ აბა ერთი დამისახელე ვინმე, ვისაც მკერდზე ორდენი და მედალი არ უბრწყინავდა! მე რა დავაშავე! დაუჩემებიათ, სამჯერ ნასამართლევი ხარ და მკერდზე ვერაფერს ჩამოგკიდებთო...

ამ სიტყვებმა მაშინვე გამახსენა ერთი ძველი ამბავი.

ერთხელ შევესწარი, როგორ ედავებოდა კარლო გრიგოლია მარნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს: — ამ საპატიო დაფაზე ჩემი სურათი რატომ არ უნდა იყოსო, გული რატომ დამწყვიტეთო. თავმჯდომარე ამშვიდებდა, მხარზე ხელს უტყაპუნებდა, გული რატომ უნდა დაგწყდეს, შე კაცო, ამ წელიწადს შენოდენა ფული და სიმინდი არავის მიუღია სოფელში, საჩუბარი რა გაქვსო!..

— გულს მიკეთებ არა! — უფრო გაცხარდა გრიგოლია — სიმინდს ბეღელში, ან ფულს ჯიბეში ვინ უყურებს, კაცო! ამ სურათებს კი მთელი ქვეყანა ხედავს. რად მინდა ცარიელი ქონება, თუ ამისთანა ხალხში არ გამრევენ!

— ცოტა მოიცადე, ჩემო ძმაო, რაც არ უნდა იყოს, სამჯერ ნასამართლევი კაცი ხარ, თავის დროზე ყველაფერი იქნება...

ეს მოხდა 1976 წელს ქალაქ აბაშაში, პატარა, ლამაზი ბაღის კიდეზე დადგმული საპატიო დაფის წინ.

„რად მინდა ცარიელი ქონება, თუ ამისთანა ხალხში არ გამრევენ“...

ამ წუხილმა ერთბაშად ჩამახედა გრიგოლიას სულის სიღრმეში და ცხადზე უცხადესად მაგრძნობინა, რომ ეს არ იყო უბრალო მანჭვა-გრეხვა, ჭირვეულობა, შური ან პატივმოყვარე კაცის სიხარბე.

გრიგოლია გრძნობდა, სავსე ქისა და პირთამდე გაძეძგილი ბეღელი იმ უკუღმართ წარსულს საბოლოო ანგარიშს ვერ გაუსწორებდა, სოფლის თვალში ისევ ვერ ამაღლდებოდა, რომ სწორებში, როგორც სწორი, გარეულიყო. იმ ძველი ჭრილობიდან სისხლი მაინც წვეთავდა, ამ სისხლს სავსე ქისა ვერ შეაჩერებდა.

— ორდენი და მედალი მკერდზე აღარ ეტევა ჩემს ამხანაგებს. ჩემთვის კი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კაცის საკერდე ნიშანიც კი არსად გაიჭედა! მახსოვს, ომიანობის დროს, ერთი ჩვენებური კაცი ციხეში იჯდა, თხუთმეტი წელი ჰქონდა მისჯილი; ადგა და წერილი გაუგზავნა მთავრობას, მომეცით საშუალება, ჩემი დანაშაული ბრძოლის ველზე გამოვისყიდო სისხლითო. გაგზავნეს ფრონტზე. დამთავრდა ომი და, რას ვხედავ! ეს ჩემი მეზობელი მკერდდამშვენებული დაბრუნდა სოფელში. რამდენი შეხვედრა მოუწყეს, რამდენი კარგი სიტყვა უთხრეს და ტაში დაუკრეს, ბევრი გამგონია ასეთი მაგალითი... ომის დღეებში თუ წმინდა სისხლმა გამოისყიდა დანაშაული, მშვიდობის დღეებში წმინდა ოფლმა რა დაავშავა?! სანამ უნდა მერქვას ნასამართლები კაცი! სანამ უნდა ვატარო ეს სამარცხვინო დაღი. სისხლი მხოლოდ იმას იცავს, რასაც ოფლი აშენებს — ორივეს ერთი გაჭრა უნდა ჰქონდეს!..

გაჩუმდა, გულზე ხელები დაიკრიბა და ცაზე არეულ ღრუბლებს გაუშტერა თვალი.

მეც უნდა გავჩუმდე.

სათქმელი უკვე ითქვა, და ახლა დაველოდოთ, რას იტყვის ცხოვრების უტყუარი სასწორი.

ნოემბერი, 1980 წ.

დრო და მხატვარი

საბჭოთა საქართველო: ხიდი კონტინენტთა შორის

ნიუ-იორკის ცენტრალური პარკის დასავლეთით, 77-ე ავენიუზე, მცირე საქართველოს გაუდგამს საძირკველი...

საიდან და როგორ?

იგი არის ნაწილი იმ დიდი და იშვიათი ანთროპოლოგიური ექსპოზიციისა, რომელიც ახლახან გაიმართა ამერიკის ბუნების ისტორიის მუზეუმში. ეს ექსპოზიცია აზიის ხალხების ისტორიას, კულტურასა და ეთნოგრაფიას ასახავს და ამერიკულმა პრესამ ხსენებული მუზეუმის არსებობის მანძილზე წარმოდგენილ უმდიდრეს და ყოვლისმომცველ გამოფენად მიიჩნია. დარბაზი შენობის II სართულზეა და მას 1860 კვადრატული მეტრი უჭირავს.

ექსპოზიციის თემა და მასშტაბი ფრიად ვრცელია: იგი მოიცავს ხალხთა კულტურას თურქეთიდან იაპონიამდე და ციმბირიდან ინდოეთამდე, უძველესი დროიდან XIX საუკუნის ბოლომდე, ანუ 600 000 წლის წინანდელი სინანთროპიდან თითქმის თანამედროვეობამდე.

იმის დასადასტურებლად, თუ რა დიდი პასუხისმგებლობითა და გულმოდგინეობით შეუდგენიათ აზიელ აზიური დარბაზის ექსპოზიცია მუზეუმის მესვეურთ, საკმარისია ამ ფაქტის მოყვანა: საექსპოზიციო დარბაზის თემატური გეგმის შემუშავება ჯერ კიდევ 1966 წელს დაწყებულა, რის შედეგადაც შეირჩა 3000 ექსპონატი და ილუსტრაცია, რომელთა უმრავლესობა პირველად გამოიფინა.

შედეგება იგი 10 კილიკიური დიორამისაგან, 12 მოზრდილი და 150 მომცრო ვიტრინისა და 13 დიაგრამისაგან. ამას დაუმატეთ ლანდშაფტთა ფერწერული და აბსტრაქტული მხატვრული პანოები, რაც აძლიერებს სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილთა აღქმის ეფექტს. გამოფენა საკმაოდ ძვირი დაჯდა.

ხოლო რაც საქართველოს ეხება, მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა ჩვენმა რესპუბლიკამ. ამაში დიდია წვლილი სსრ კავშირის საბალხო მხატვრის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრის ზურაბ წერეთლისა.

ეს ამბავი აღარ გაგიკვირდებათ, თუ გაგახსენებთ იმ დიდ მისიას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში შეასრულა ქართველმა მხატვარმა, როცა ნიუ-იორკის შტატის ბროკფორტის უნივერსიტეტის კოლეჯის მიდამოებში დადგა ორი მონუმენტური ლითონის კომპოზიცია — „ბედნიერება მსოფლიოს ბავშვებს“ და „ცოდნა და სინათლე სამყაროს“, და ორივე გააჩუქა!

დავუბრუნდეთ ისევ მუზეუმს.

მუზეუმის დამფინანსებელნი ამერიკის შინაძენთა ფონდთან და ნიუ-იორკის შტატის ხელოვნების საბჭოსთან ერთად არიან საუდის არაბეთის სამეფო, სხვადასხვა დაწესებულებები, ცალკეული პიროვნებები; მათ შორის მუზეუმის ცნობარში პატივით მოიხსენიება ჩვენი თანამემამულე ზურაბ კონსტანტინეს ძე წერეთელი, რომელმაც დიდი ინტერესი და მზრუნველობა გამოიჩინა აზიის დარბაზის ზოგადი კავკასიური ნაწილისადმი და მასში სათანადო ადგილი მიუჩინა საქართველოს, მის ისტორიას, ხელოვნებას და ეთნოგრაფიას.

ქველმოქმედება საშვილიშვილო საქმეა. წამოწყებული საქმის დაგვირგვინებაში ზურაბ წერეთელ დიდად წამოეშველა უწინდელი დიდოცდილება — მან ხომ სიქაბუკეში ჩვენი გამოჩენილი ეთნოგრაფის გიორგი ჩიტაიას სკოლა გაიარა. გ. ჩიტაიას ექსპედიციების წყალობით ფეხდაფეხ მოიარა საქართველო, შეითვისა და შეიყვარა ეთნოგრაფიული მეცნიერება, შეიცნო და შეიგრძნა იშვიათი ნიმუშები.

77-ე ავენიუზე მოხვედრისას ზურაბში სწორედ ეთნოგრაფის სულმა და ინტერესებმა გაიღვიძა — იქ იყო კავკასია, მაგრამ არ იყო საქართველო... და ამ დიდი სურვილისა და მონდომების შედეგად, ექსპოზიციას, რომელიც წლების მანძილზე მზადდებოდა, მან ნახევარ წელიწადში შესძინა საქართველო!

ასე რომ, აზიის დარბაზის, რომელსაც მუზეუმის მეშვიდე პრეზიდენტის (1968-1975 წლებში რომ მოღვაწეობდა) გარდნერ დ. სტაუტის სახელი დაენათლა, მხატვრული გაფორმების პროექტის ავტორებად ითვლებიან ალექს ფილიამსი და ზურაბ წერეთელი.

ამ ფაქტს მთელი გვერდი დაუთმო გაზეთმა „დეილი უორლდმა“, რომელშიც დაიბეჭდა სტატია „საბჭოთა საქართველო: ხიდი კონტინენტთა შორის“ (17 ოქტომბერი, 1980 წ.)

— ექსპოზიციის ესკიზი ნიუ-იორკშივე შეავადგინე და წარგუდგინე მუზეუმის დირექტორსა და ორგანიზატორს, პროფესორ უილიამ ფეირსერვისს,—გვიამბობს ზ. წერეთელი,—რომელიც თუმცა არ მიცნობდა, საკმაოდ თავაზიანად შემხვდა და დაინტერესდა კიდეც; ცხადია, ერთბაშად მაინც არ მენდო და თადარიგი დაიჭირა, ჩემი ვინაობისა და შესაძლებლობების გაკითხვა-გამოკითხვის შემდეგ კი ჩემი წინადადებაც ირწმუნა და თანადგომა გამომიცხადა. საქართველოში დავბრუნდი, ესკიზი, რომელიც უფრო დავხვიწე და დავახუსტე, პირველად ჩემს მოძღვარს, პატივცემულ გიორგი ჩიტაიას გავაცანი და მისმა მხარდაჭერამაც წამახალისა. ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელების დიდი დახმარების შედეგად სიტყვა საქმედ იქცა — მუზეუმს გავუგზავნეთ ქართული ეროვნული ტანსაცმელი (ჩოხა, ხევსურული ტალავარი, გურული და აჭარული ჩაქურა, ნაბადი, აბჯარი და მუზარადი, გორდა ხმალი და ვერცხლისჭარაშიანი ხანჯლები, ქართული საკრავები და თიხის ჭურჭელი, სვანური მაჩუბის მოწყობილობა). ამას, ცხადია, ქართული წიგნები, ანბანი, მუსიკალური ფირფიტები, მხატვრული ფოტოსურათები და საქართველოს რუკაც დაემატა. ვფიქრობ, ამ უზარმაზარ მუზეუმში საქართველო, მიუხედავად თავისი სიმცირისა (ეს სიმბოლურიც არ ის), საკმაოდ საინტერესოდ უნდა წარმოჩნდეს.

— უნდა წარმოჩნდეს?

— დიახ, დასრულებული ექსპოზიცია ჯერ არ მინახავს. სწორედ ახლახან მივიღე მიწვევა მუზეუმის აზიური დარბაზის ქართული ექსპოზიციის გახსნაზე, და ამ დღეებში მივემგზავრები. გახსნაში მონაწილეობას მიიღებენ ამ მუზეუმის პრეზიდენტი რობერტ ჯონ გოლე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კურტ ვალდჰაიმი.

მუზეუმის ახალი ვრცელი ექსპოზიცია „აზიის ხალხთა ისტორია და კულტურა“, ახლახან რომ გაიხსნა, ფრიად საზეიმოდ შედგა. განსაკუთრებით გამოიკვეთა ინტერესი საბჭოთა ხალხებისადმი. გამოფენის ძირითადი მიზანია გააცნოს ამერიკელებს აზიის ხალხთა ისტორია და კულტურა, ხალხებისა, რომელნიც უდავოდ ითვლებიან კაცობრიობის ცივილიზაციის პიონერებად — ეს დოქტორ ფეირსერვისის სიტყვებია. მიუხედავად აწინდელი დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა, იგი იმედოვნებს, რომ გამოფენა გარკვეულ წვლილს შეიტანს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში და, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, რადგან მისი პირუთვნელი აზრით, კულტურული ურთიერთობანი ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის უკეთესშობილეს საქმეს უნდა ემსახურებოდეს და მაგვე დასძინა, „მეგობრობას ყველაფრის შექმნის ძალა შესწევსო“.

ხომ მართლაც ასეა, — მეგობრობას ურთიერთგაცნობა, წარსულისა და აწმყოს მნიშვნელოვან მონაპოვართა გაზიარება, თანამშრომლობა და თანაშემოქმედება

ცის გახსნა

ზეუმის ცნობარში პატივით მოიხსენიება ჩვენი თანამემამულე ზურაბ კონსტანტინეს ძე წერეთელი, რომელმაც დიდი ინტერესი და მზრუნველობა გამოიჩინა აზიის დარბაზის ზოგადი კავკასიური ნაწილისადმი და მასში სათანადო ადგილი მიუჩინა საქართველოს, მის ისტორიას, ხელოვნებას და ეთნოგრაფიას.

ქველმოქმედება საშვილიშვილო საქმეა. წამოწყებული საქმის დაგვირგვინებაში ზურაბ წერეთელ დიდად წამოეშველა უწინდელი დიდოცდილება — მან ხომ სიქაბუკეში ჩვენი გამოჩენილი ეთნოგრაფის გიორგი ჩიტაიას სკოლა გაიარა. გ. ჩიტაიას ექსპედიციების წყალობით ფეხდაფეხ მოიარა საქართველო, შეითვისა და შეიყვარა ეთნოგრაფიული მეცნიერება, შეიცნო და შეიგრძნა იშვიათი ნიმუშები.

77-ე ავენიუზე მოხვედრისას ზურაბში სწორედ ეთნოგრაფის სულმა და ინტერესებმა გაიღვიძა — იქ იყო კავკასია, მაგრამ არ იყო საქართველო... და ამ დიდი სურვილისა და მონდომების შედეგად, ექსპოზიციას, რომელიც წლების მანძილზე მზადდებოდა, მან ნახევარ წელიწადში შესძინა საქართველო!

ასე რომ, აზიის დარბაზის, რომელსაც მუზეუმის მეშვიდე პრეზიდენტის (1968-1975 წლებში რომ მოღვაწეობდა) გარდნერ დ. სტაუტის სახელი დაენათლა, მხატვრული გაფორმების პროექტის ავტორებად ითვლებიან ალექს ფილიამსი და ზურაბ წერეთელი.

ამ ფაქტს მთელი გვერდი დაუთმო გაზეთმა „დეილი უორლდმა“, რომელშიც დაიბეჭდა სტატია „საბჭოთა საქართველო: ხიდი კონტინენტთა შორის“ (17 ოქტომბერი, 1980 წ.)

— ექსპოზიციის ესკიზი ნიუ-იორკშივე შეავადგინე და წარგუდგინე მუზეუმის დირექტორსა და ორგანიზატორს, პროფესორ უილიამ ფეირსერვისს,—გვიამბობს ზ. წერეთელი,—რომელიც თუმცა არ მიცნობდა, საკმაოდ თავაზიანად შემხვდა და დაინტერესდა კიდეც; ცხადია, ერთბაშად მაინც არ მენდო და თადარიგი დაიჭირა, ჩემი ვინაობისა და შესაძლებლობების გაკითხვა-გამოკითხვის შემდეგ კი ჩემი წინადადებაც ირწმუნა და თანადგომა გამომიცხადა. საქართველოში დავბრუნდი, ესკიზი, რომელიც უფრო დავხვიწე და დავახუსტე, პირველად ჩემს მოძღვარს, პატივცემულ გიორგი ჩიტაიას გავაცანი და მისმა მხარდაჭერამაც წამახალისა. ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელების დიდი დახმარების შედეგად სიტყვა საქმედ იქცა — მუზეუმს გავუგზავნეთ ქართული ეროვნული ტანსაცმელი (ჩოხა, ხევსურული ტალავარი, გურული და აჭარული ჩაქურა, ნაბადი, აბჯარი და მუზარადი, გორდა ხმალი და ვერცხლისჭარაშიანი ხანჯლები, ქართული საკრავები და თიხის ჭურჭელი, სვანური მაჩუბის მოწყობილობა). ამას, ცხადია, ქართული წიგნები, ანბანი, მუსიკალური ფირფიტები, მხატვრული ფოტოსურათები და საქართველოს რუკაც დაემატა. ვფიქრობ, ამ უზარმაზარ მუზეუმში საქართველო, მიუხედავად თავისი სიმცირისა (ეს სიმბოლურიც არ ის), საკმაოდ საინტერესოდ უნდა წარმოჩნდეს.

— უნდა წარმოჩნდეს?

— დიახ, დასრულებული ექსპოზიცია ჯერ არ მინახავს. სწორედ ახლახან მივიღე მიწვევა მუზეუმის აზიური დარბაზის ქართული ექსპოზიციის გახსნაზე, და ამ დღეებში მივემგზავრები. გახსნაში მონაწილეობას მიიღებენ ამ მუზეუმის პრეზიდენტი რობერტ ჯონ გოლე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კურტ ვალდჰაიმი.

მუზეუმის ახალი ვრცელი ექსპოზიცია „აზიის ხალხთა ისტორია და კულტურა“, ახლახან რომ გაიხსნა, ფრიად საზეიმოდ შედგა. განსაკუთრებით გამოიკვეთა ინტერესი საბჭოთა ხალხებისადმი. გამოფენის ძირითადი მიზანია გააცნოს ამერიკელებს აზიის ხალხთა ისტორია და კულტურა, ხალხებისა, რომელნიც უდავოდ ითვლებიან კაცობრიობის ცივილიზაციის პიონერებად — ეს დოქტორ ფეირსერვისის სიტყვებია. მიუხედავად აწინდელი დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა, იგი იმედოვნებს, რომ გამოფენა გარკვეულ წვლილს შეიტანს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში და, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, რადგან მისი პირუთვნელი აზრით, კულტურული ურთიერთობანი ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის უკეთესშობილეს საქმეს უნდა ემსახურებოდეს და მაგვე დასძინა, „მეგობრობას ყველაფრის შექმნის ძალა შესწევსო“.

ხომ მართლაც ასეა, — მეგობრობას ურთიერთგაცნობა, წარსულისა და აწმყოს მნიშვნელოვან მონაპოვართა გაზიარება, თანამშრომლობა და თანაშემოქმედება

საბჭოთა საქართველო: ხიდი კონტინენტთა შორის

ერის ეროვნული ინტერესებისა, ეროვნული ფასეულობანი ერთმანეთს ეფარებიან, ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს ამდიდრებენ, ერთმანეთს ეხმიანებიან, ერთმანეთს ეფერებიან, ერთმანეთს ეალერსებიან, ერთმანეთს ეალბობენ

მზე შემოდგომისა

ᲐᲜᲣ ᲝᲗᲮᲘ ᲔᲡᲙᲘᲖᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

„ᲓᲘᲛᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ“



ᲗᲥᲕᲔᲜ ახლა შორსა ხართ აქედან, პატივცემულო გიორგი! მოსკოვში — გვარიანი ზამთარია უკვე. უჭერს რუსული ყინვა და თოვლის ფანტელების ჩუმ შრიალში ნებივრობს ვეება ქალაქი. ასეთ ამინდში მოსაგონარს რა გამოლევს, აიწლება ფიქრი, ცხრა მთას გადმოიკლის და საქართველოს ესტუმრება, მშობელ მიწას მოგატარებს. იქნებ თბილისი და წლევანდელი ღვინობისთვეც გიახსენოთ?..

● ●

...ოქტომბერი, მზიანი დილა... „თბილისქალაქობას“ ზეიმობს მთელი საქართველო, რიყეზე მოლეთის ხალხი გამოსულა... დგას კაცი და მზეს შესცქერის, გაბადრულ მზეს.

— გამარჯობათ, პატივცემულო გიორგი!

მოიხედა, ეტყობა შემიცნო.

— გაგიმარჯოს, „გენაცვალე!

— ჩამობრძანდით „თბილისქალაქობაზე?“

— ჰო, გენაცვალე, წელსაც მომიწვიეს... ხედავთ, რა ამბავია? ამ წუთში გოგლას სტრიქონებს ვიმეორებდი ჩემთვის, გახსოვთ? „მაგრამ ლექსი გადურჩება იმ ძველ ნაჩრდილარს? სახედარზე წითელ ბოლოკს და ჭიანურს მტიროალს. მეტივეს და თივის ურემს, წყნეთურ მაწვნის ქილას? მაშ რა ვუყოთ, პოეტებო, ამ თბილისის ღილას?“... აა... როგორია, ხომ დახტა...

— მაშ...

— დიდებული რამ დაიწესეს... მთელ საქართველოს, მის ეშხსა და სილამაზეს ერთ დღეს ნახავს კაცი, მით უმეტეს ჩემისთანა მოხატრებული. ისე, უკეთესი იქნება, თუ ამ ზეიმზე მეტი ყურადღება დაეთმობა ძველ ქართულ თეატრალიზებულ სანახაობებს...

— აღარ მოგაცდენთ. და თუ დარჩენას აპირებთ, იქნებ გვესაუბრა საღამოთი, ახლახან სამოცდათხუთმეტი წელიც შეგისრულდათ, მკითხველს აინტერესებს გიორგი მდივანი...

— სიამოვნებით...

● ●

იმ საღამოს თვალებანთებული მიამბობდით, თუ როგორ მოიარეთ მთელი თბილისქალაქი, როგორ მოიჯერეთ გული ამერ-იმერის ალერსით, „თბილისელებს სილაღე მოშფონს, თბილისელებთან ქეიფი მინდა“... ღიღინებდით თქვენ და თან, მალმალ ტელეფონს უპასუხებდით, მეგობრებს ესაუბრებოდით მთელი ხმით, მხიარულად, ახალგაზრდულად...

— ნიკა იყო — აგიაშვილი, ნაღდი კაცი... იცნობთ ხომ, ძველებში ეგ შემრჩა ქუთაისიდან...

— თქვენც ხომ ქუთათური ხართ?

— დიახ... იქ ჭომაში ვცხოვრობდით, შამაჩემი მეღვინე იყო და უნდოდა მეც მისი ხელობისა ვყოფილიყავი, ლექსების წერა რომ დავიწყე, დამეღუპა შვილიო, იტყოდა ხოლმე. მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, მამას ვინღა დაუჯერა, ქუთაისში დასავლეთ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირი დავაარსეთ და მისი მდივანი ვიყავი. დიდი ამბები გვქონდა, მე, ბენიტო ბუაჩიძეს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, დავით რონდელს...

— რას აკეთებდით?..

— ჩვენს ჭიას ვახარებდით... ერთი ბეჭედი მქონდა, როგორც მდივანს. რომელიმე გოგოს სატრფიალო წერილ რომ მივწერდი, იმ ბეჭედსაც დავუსვამდი, გწერს „მდივანი“—მდივანი-მეთქი. ჟურნალიც გამოვეცით — „დინამიტი“, მასში ლექსებს ვაქვეყნებდი ხან გიორგი დავითონიძის, ხან გივი მდივნის, ხანაც ჟორჟ მდივნის სახელით. ეს იმიტომ, რომ ერთი გიორგი მდივანიც მოღვაწეობდა ჩვენთან და მკითხველებს რომ არ ავრეოდით, ფსევდონიმებს ვიგონებდი. მერე ნატრებული. ისე, უკეთესი იქნება, თუ ამ ზეიმზე მეტი ყურადღება დაეთმობა ძველ ქართულ თეატრალიზებულ სანახაობებს...

— აღარ მოგაცდენთ. და თუ დარჩენას აპირებთ, იქნებ გვესაუბრა საღამოთი, ახლახან სამოცდათხუთმეტი წელიც შეგისრულდათ, მკითხველს აინტერესებს გიორგი მდივანი...

— სიამოვნებით...

● ●

იმ საღამოს თვალებანთებული მიამბობდით, თუ როგორ მოიარეთ მთელი თბილისქალაქი, როგორ მოიჯერეთ გული ამერ-იმერის ალერსით, „თბილისელებს სილაღე მოშფონს, თბილისელებთან ქეიფი მინდა“... ღიღინებდით თქვენ და თან, მალმალ ტელეფონს უპასუხებდით, მეგობრებს ესაუბრებოდით მთელი ხმით, მხიარულად, ახალგაზრდულად...

— ნიკა იყო — აგიაშვილი, ნაღდი კაცი... იცნობთ ხომ, ძველებში ეგ შემრჩა ქუთაისიდან...

— თქვენც ხომ ქუთათური ხართ?

— დიახ... იქ ჭომაში ვცხოვრობდით, შამაჩემი მეღვინე იყო და უნდოდა მეც მისი ხელობისა ვყოფილიყავი, ლექსების წერა რომ დავიწყე, დამეღუპა შვილიო, იტყოდა ხოლმე. მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, მამას ვინღა დაუჯერა, ქუთაისში დასავლეთ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირი დავაარსეთ და მისი მდივანი ვიყავი. დიდი ამბები გვქონდა, მე, ბენიტო ბუაჩიძეს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, დავით რონდელს...

— რას აკეთებდით?..

— ჩვენს ჭიას ვახარებდით... ერთი ბეჭედი მქონდა, როგორც მდივანს. რომელიმე გოგოს სატრფიალო წერილ რომ მივწერდი, იმ ბეჭედსაც დავუსვამდი, გწერს „მდივანი“—მდივანი-მეთქი. ჟურნალიც გამოვეცით — „დინამიტი“, მასში ლექსებს ვაქვეყნებდი ხან გიორგი დავითონიძის, ხან გივი მდივნის, ხანაც ჟორჟ მდივნის სახელით. ეს იმიტომ, რომ ერთი გიორგი მდივანიც მოღვაწეობდა ჩვენთან და მკითხველებს რომ არ ავრეოდით, ფსევდონიმებს ვიგონებდი. მერე ჩემმა სეხნიამ პოეტობას თავი დაანება და დავრჩი გიორგი მდივნად.

1924 წელს თბილისში გადავედით და საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას შევუერთდით. ძალზე გამიტაცა კინომ. მაშინ ასე მეგონა, ეს დარგი დაიპყრობდა მთელ ხელოვნებას. „საქკინმრეწველი“ სასცენარო განყოფილებაში დავიწყე მუშაობა და სწორედ იმ წლებში დავწერე პირველი სცენარი — სატირული კომედია „ჩემი ბებია“, რომელიც რეჟისორმა კოტე მიქაბერიძემ გადაიღო კიდეც. ამ სცენარს მოჰყვა „ახალგაზრდობა იმარჯვების“, „უბეუბზიარა“, „შაკირი“ (პირველი ქართული ხმოვანი ფილმი, რომელიც რეჟისორმა ლეო ესაკიამ გადაიღო), „დაკარგული სამოთხე“... ეს ჩემი ადრეული კინოდრამატურგიაა, ბოლო დროს კი, შეიძლება დავასახელოთ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ შექმნილი „საბუდარელი ჭაბუკი“, „კეთილი ადამიანები“, „ხევსურული ბალადა“ და ა. შ. „მოსფილმშიც“ დაიდგა ჩემი სცენარით რამდენიმე კინონაწარმოები.

— თქვენ გიცნობენ, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ სცენარისტს...

— შეიძლება.. ისე, თუ საინტერესო იქნება, გეტყვით, რომ დღემდე ორმოცდაათზე მეტი ფილმი შეიქმნა ჩემი სცენარებით, აქედან ოცი, ალბათ, საქართველოში.

— სულ ახლახან რომ გამოვიდა?

—„სახლი ლესნაიას ქუჩაზე“?

—დიახ.

— ეგ ისტორიულ ფაქტებზე აგებული კინოსცენარია. დამდგმელმა რეჟისორმა ნიკოლოზ სანიშვილმაც დიდი მონდომებით იმუშავა... სცენარი ეხება მოსკოვში, ლესნაიას ქუჩაზე არალეგალური სტამბის დაარსებისა და მუშაობის ამბებს. არის ასეთი ცნობები: 1905 წლის დასაწყისში ლენინს დაუბარებია ცნობილი რევოლუციონერი ბორის კრასინი და დაუვალებია მისთვის არალეგალური სტამბის გახსნა, რომელშიც დაიბეჭდებოდა გაზეთი „რაბოჩი“ და სხვადასხვა პოლიტიკური მასალები. — ამისათვის მოიწვიეთ ქართველი ამხანაგები, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ არალეგალური სტამბის დაარსებისა, ავლაბრის არალეგალური სტამბა და ბაქოში სტამბა „ნინო“ დღემდე ვერ აღმოაჩინა პოლიციამო, — უთქვამს ვლადიმერ ილიას ძეს.

მართლაც, გაჩაღებულა მუშაობა. ცნობილ რევოლუციონერებს გიორგი სტურუას, სილოვან თოდრიას, უშანგი ჯაშსა და სხვებს მალე გაუმართავთ არალეგალური სტამბა, რომელმაც შემდგომში თავისი საქმე პირნათლად შეასრულა...

— თუ არ ვცდები, თქვენი ადრეული სცენარი „ამერიკანკა“ ამავე მასალაზე იყო...

— დიახ, იგი მე და გ. სტურუამ დავწერეთ, ლ. ესაკიამ კი გადაიღო. ოღონდ იქ საბჭედი მანქანა იყო „მთავარი მოქმედი პირი“. ახალ ფილმში კი გაცილებით დიდი ამბებია.

● ●

იმ საღამოს, სანამ თქვენ გესტუმრებოდით, ჩვენი ღვაწლმოსილი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დიმიტრი ალექსიძე ვინახულე. ვიცოდი, რომ თქვენი პირველი პიესა „ალკაზარი“ სწორედ ალექსიძემ დადგა რუსთაველის თეატრში.

— მთელი ჩემი ცხოვრება გადაჯაჭვულია ამ საოცარ ადამიანთან, — გვითხრა დ. ალექსიძემ, — იგი საოცარია თავისი კეთილშობილებითა და კაცური კაცობით, შემოქმედებით. იყო პოეტი, მსახიობი, დარჩა კინოს და თეატრის შესანიშნავ დრამატურგად. და თუ ჩემს სპექტაკლებს „ალკაზარს“, „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“ დიდი წარმატება ჰქონდათ, ეს ავტორის — გიორგი მდივნის უპირველესი დამსახურებაა...

როგორ გაიხარეთ, მეგობრის ეს სიტყვები რომ გადმოგეცით.

— „ალკაზარი“ 1936 წელს დავწერე, იმ წლიდან უკვე მოსკოვში გადავედი სხვადასხვა მიზეზთა გამო, მაგრამ ჩემი საქართველოსათვის, ჩემი ხალხისათვის ვცხოვრობ და ვშრომობ.

ინტერვიუ ხელოვნებათმცოდნე ი. პოროგოვასთან:

— ბევრ სხვა თემასთან ერთად გიორგი მდივნის მთავარი თემაა ნაწარმოებები რევოლუციის ერთგულებაზე. ესენია არა მარტო პიესები „ჩემი ძია მიშა“ და „დიდი დედა“, არამედ კინოსცენარებიც „დიდი გზა“, „მარადისობის ელჩები“, „პატრიოტი“. ღვაწლმოსილი დრამატურგი მხურვალე ინტერნაციონალისტიც არის. ეს გამოვლინდა მის შესანიშნავ პიესებში „ალკაზარი“, „ტერეზას დაბადების დღე“, „კონსული მოიპარეს“, კინოსცენარებში „შორს დასავლეთისაკენ“, „იუგოსლავიის მთებში“ და ა. შ.

მწერლის შემოქმედება მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის საქმეს ემსახურება. აი, თუნდაც გავიხსენოთ სამსერიანი დოკუმენტური ფილმი „ხუთი რგოლის ისტორია“, რომლის სცენარი გ. მდივანს ეკუთვნის და რომელმაც დაამშვენა მოსკოვის ოლიმპიადის პროგრამა, ეს ფილმი ხომ ხალხთა მეგობრობის დიდებული ჰიმნია.

● ●

თქვენ ძველი მეგობრებიც მოიგონეთ იმ საღამოს. რა ხალხი, რა ძვირფასი სახელები. მოიგონეთ ტვერის ბულვარი და კამერული თეატრი, თანამშრომლობა და შეხვედრები ალექსანდრე ტაიროვთან — თანამედროვეობის ერთ-ერთ გამოჩენილ რეჟისორთან. ალექსიძის შემდეგ სწორედ მან დადგა მოსკოვში თქვენი „ალკაზარი“ და სხვა რამდენიმე პიესა.

და თუმცა კეთილ, მარადღიმილიან სახეზე დროდადრო სევდაც გამოკრთებოდა, ეს ოდნავადაც ვერ ანელებდა თქვენს საოცარ ჭაბუკურ სიცქაფეს.

...ისევ იმ დილას ვიხსენებ: როგორ შეჰყურებდა კაცი თბილისის თავზე გადმომდგარ შემოდგომის მზეს, სითბოუხვსა და მოალერსეს, იმ იმედით მოკაოფეს, რომ ზამთრისპირი ჯერ ვერაფერს დააკლებს მის მაცოცხლებელ ენერგიას.

Ვ. ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

ᲐᲠᲐᲛ ᲮᲐᲩᲐᲢᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲐᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ

ᲡᲡᲠ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის კომპოზიტორ არამ ხაჩატურიანის შემოქმედება მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის საგანძურში. ამ გამოჩენილმა ხელოვანმა თავის ნაწარმოებებში უმღერა მშობლიურ მხარეს, მისმა მუსიკამ ასახა მშობლიური ბუნების მთელი სილამაზე.

არამ ხაჩატურიანის სახელი ძვირფასია ქართველი ხალხისათვის. კომპოზიტორს მგზნებარედ უყვარდა საქართველო, სადაც დაიბადა, ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები გაატარა, პირველად ეზიარა მუსიკის მომაჯადოებელ სამყაროს. საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში არამ ხაჩატურიანი გამოტყდა, რომ ზაქარია ფალიაშვილის უკვდავმა ოპერამ „აბესალომ და ეთერმა“, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაზღვრა კიდეც მისი მომავალი.

თბილისში საბჭოთა მუსიკის კლასიკოსის ყოველი გამოსვლა ნამდვილი მუსიკალური დღესასწაული იყო და მსმენელს ინიეგდა მაღალი აზრისა და იდეალების შემოქმედებასთან შეხვედრის სიხარულს.

ხაჩატურიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას 26 კომისრის რაიონში კომპოზიტორის სახელი ეწოდა. თბილისის მეათე მუსიკალური სკოლაც ასევე გამოჩენილი მუსიკოსის სახელს ატარებს, ხოლო არაგვის ქუჩის № 3 სახლზე დამაგრებულია მემორიალური დაფა.

არამ ხაჩატურიანი ქართული მუსიკის დიდი მეგობარი იყო, უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, თბილისის კონსერვატორიის პროფესორმა კომპოზიტორმა დავით თორაძემ. — ჩვენ მუდამ ვგრძნობდით მისი დიდი ადამიანური გულის სითბოს. მას გულწრფელად ახარებდა ქართული მუსიკის წარმატებები, იზიარებდა ჩვენს სიხარულსაც და გულისტკივილსაც. კომპოზიტორი სიამოვნებით გვიზიარებდა თავის მდიდარ გამოცდილებას. ბევრ შემთხვევაში ქართველ ავტორთა ნაწარმოებებს პირველი შემფასებელი იყო. მაგონდება 1975 წელს მოწყობილი ფესტივალი „ამერიკაკავასიის მუსიკალური გაზაფხული“, ამ ფესტივალის ნამდვილ მშვენებად იქცა მისი ნაწარმოებების „ოდა სიხარულს“ და „სადღესასწაულო ფანფარების“ შესრულება, რომლებიც ღია ფესტივალზე დაუკრეს. კომპოზიტორი თვითონ დირიჟორობდა თავის თხზულებების შესრულებას. ამ გამოჩენილ ოსტატთან ხანგრძლივი მეგობრობა მაკავშირებდა. მისი შემოქმედება შთაგონების წყარო იყო ჩემთვისაც და ბევრი ჩემი კოლეგისთვისაც. ვამაყობ ამ მეგობრობით.

არამ ხაჩატურიანი სამუდამოდ არის ჩაწერილი თავის შობლიურ ქალაქში, რომელიც სათუთად ინახავს მის ნათელ ხსოვნას. (საქინფორმი).

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲙᲚᲔᲒᲣᲚᲝᲑᲡ ᲬᲚᲕᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ?

ᲙᲐᲡᲐᲞᲘᲡ ზღვის დონის დაქვეითება მნიშვნელოვანწილად მისი ფსკერის დაწევით არის გამოწვეული — ასეთი დასკვნა გამოიტანეს მეცნიერებმა, რომლებმაც დაამთავრეს გეოლოგიურ-გეოგრაფიული კვლევა სამხრეთ-დასავლეთ თურქმენეთის ვრცელ ტერიტორიაზე და ნაწილობრივ აზერბაიჯანისა და საქართველოს ფარგლებში.

— წინათ კასპიის ზღვის დონის დაკლებას უკავშირებდნენ მსოფლიო ოკეანესა და ხმელეთს შორის ტენის გლობალურ გადანაწილებას, — უთხრა საადესის კორესპონდენტს კვლევის ხელმძღვანელმა, თურქმენეთის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ო. ოდეკოვმა.— მიმდინარე საუკუნეში ჩრდილოეთ ნახევარსფეროში აღინიშნება მსოფლიო ოკეანის დონის ნელი აწევა და ამავე დროს მიწისქვეშა წყლების ჰორიზონტის უფრო სწრაფი დაწევა.

კასპიის ზღვაში ჩადინების შემცირება იმის გამოც ხდება, რომ ვოლგის წყალი სულ უფრო მეტი რაოდენობით იხარჯება სამეურნეო საჭიროებისათვის.

ახლა კი გამოვლინდა გიგანტური ზღვა-ტბის დაკლების მესამე, ყველაზე არსებითი ფაქტორიც. დადგინდა, რომ დედამიწის ამ რაიონში აი უკვე რამდენიმე მილიონი წელია მიმდინარეობს დიდი ღრმულის წარმოქმნის პროცესი, რომლის დროსაც ხდება კასპიის ზღვის ფსკერის თანდათანობითი ჩაწოლა. ამასთან უფრო სწრაფად მიმდინარეობს მისი სამხრეთი ნაწილის ჩაწოლა.

ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲡᲛᲝᲛᲪᲕᲔᲚᲘ, ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡᲐᲓᲐ, ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡᲐᲓᲐ...

ᲕᲘᲜᲪ ორი-სამი წელია არ ყოფილა მესტიაში, აქ ჩამოსვლისთანავე შენიშნავს, თუ როგორ იცვალა სახე რაიონულმა ცენტრმა, ზემო სვანეთის ცალკეულმა სოფლებმა. უწინარესად თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ცად აწვდილი სვანური კოშკები, რომელთა საუკუნოვანი ქონგურები მოლად განახლებულია. იმასაც შენიშნავთ, რომ მესტიის ქუჩებსა და შესახვევებში, რომლებიც მთის ფერდობებზე მიიკლაკნება, ასფალტი დაუგიათ. ქუჩები ქალაქურად არის განთვლილი და, საერთოდ, მესტიის მთელ იერში იგრძნობა ქალაქური სუნთქვა, ქალაქის ატრიბუტები. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც მდიხარე მულახურის ხეობაა, რომელიც ცენტრიდან სამი წუთის სავალზეა.

თვალწარმტაც ადგილას, სადაც სულ ახლახან ვილური ბუნება იყო, კეთილმოწყობილი კომკავშირულ-ახალგაზრდული პარკი გაფაშენებულა, თავისი კარი სტუმართმოყვარულად გაუღია მიხეილ ხერგიანის სახელობის „ბეთქილის“ ახალგაზრდულ კლუბს. საინტერესოა პარკისა და კლუბის შექმნის ამბავი. თაოსნობა, როგორც უკვე ტრადიციად დამკვიდრდა აქ, კომკავშირელებმა გამოიჩინეს. მათ საზოგადოებრივ საწყისებზე 150 დღეში ააგეს კლუბი და გააშენეს პარკი. უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი დეტალი. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა არა მარტო მოიწონა კომკავშირელთა ინიციატივა, არამედ კონკრეტულად დაეხმარა და მხარი დაუჭირა კიდეც. შეიქმნა შენებლობის საორგანიზაციო შტაბი და კომკავშირელებმა კომუნისტების მხარდამხარ, სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, ჩინებული სიხალისეთ. ეს ადგილი ახლა ყველაზე პოპულარული არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, არამედ სვანეთის უამრავ სტუმარსა და ტურისტს შორისაც.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პარტიის რაიკომი დიდი ყურადღებით ეკიდება რაიონის კეთილმოწყობის საკითხებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ახალგაზრდობის ყველა სასარგებლო წამოწყებას საქმიანად და კონკრეტულად უწყობენ ხელს კომუნისტები. ასე იყო მაშინაც, როცა შენდებოდა სოფელ მულახის ილიკო გაბლიანის სახელობის სპორტული კომპლექსი, სოფელ ეცერის ახალგაზრდული კლუბი „შკარიდა“... ამ სოფლებში ახალგაზრდობის თავისუფალმა დრომ და დასვენებამ ორგანიზებული ფორმა მიიღო, საინტერესო შინაარსი შეიძინა. პარტიის რაიკომის მუშაობის სტილისათვის დამახასიათებელი გახდა ის, რომ ახალგაზრდობის დასვენებისა და თავისუფალი დროის ორგანიზაციისათვის მუშაობა ნაკლებმნიშვნელოვნად არ ითვლება, ვიდრე სამეურნეო და ეკონომიკურ სფეროში საქმიანობა. ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. შეწყდა სოფლიდან ახალგაზრდობის წასვლა. მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად გააქტიურდა რაიონის ახალგაზრდობის სულიერი ცხოვრება, გაუმჯობესდა და მრავალფეროვანი გახდა ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი აღზრდა. ახალი გაჩენება მიენიჭა სპორტულ და ფიზკულტურულ მუშაობას.

პარტიის მესტიის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი, რომ პრაქტიკულად დახმარებოდენ სოფელ ლატალის კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც ბურთან თიკანაძის სახელობის სპორტულ-ახალგაზრდულ ცენტრს აშენებდნენ. მიიღეს გადაწყვეტილება — შექმნილიყო ცენტრის მშენებლობის დამთავრებისადმი ხელმძღვანელობის შტაბი. და აი, სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა დამთავრდა. ლატალელმა კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა მიიღეს თანამედროვე კომპლექსი, სადაც იქნება საჭიდაო და კრივის დარბაზი, სახვითი ხელოვნების გალერეა, დისკოთეკა, ახალგაზრდული კლუბი. დღესასწაულს, რომელიც აქ 29 ნოემბერს გაიმართება, ეწოდება „სვანეთის მგზნებარე ახალგაზრდობა“. ამაყი სახელი აქვს ამ დღესასწაულს და სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ მესტიელ კომუნისტთა პარტიული ზრუნვა რეალობას ანიჭებს რაიონის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ამ ზეიმს.

Მ. ᲭᲙᲐᲓᲣᲐ,

საქართველოს სპორტკომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე.



ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲗᲐᲜ

ᲠᲠᲘ ტურიც და ლიტვის ქალაქ შიაულიაიში დამთავრდება უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. გაიმართა მეცხრე ტურის მატჩები, რომელთა შედეგები ასეთია: ცსკა-კაუნასის „გრანიტასი“ — 27:27 (15:13), მოსკოვის „კუნცევო“-რიგის „ელექტრიკი“ — 27:20 (11:10), კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი-მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — 23:20 (13:10), კიევის ასკ-ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ — 30:18 (17:7), ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი-ლვოვის ასკ — 26:22 (16:11).

თბილისის „ქარიშხალამ“ მორიგი შეხვედრა მინსკის არმიელთა გუნდთან გამართა და იგი ფრედ დაამთავრა — 18:18 (10:10).

ცხრა ტურის შემდეგაც ერთპიროვნულად ლიდერობს ცსკა — 15 ქულა. კაუნასის „გრანიტასს“ და მინსკის არმიელთა გუნდს 13-13 ქულა აქვთ. თბილისის „ქარიშხალა“ 11 ქულით მეოთხე ადგილზეა.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲨᲔᲮᲕᲔᲗᲘ. ტუნისის ქალაქ სუსში სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამხანაგური მატჩი მოუგო ტუნისის ახალგაზრდულ გუნდს — 1:0. ეს ერთადერთი გოლი გაიტანა რამაზ შენგელიამ.

ᲒᲐᲚᲐᲢᲘᲡ დედაქალაქ ლა-ვალეტაში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გათამაშდა მეშვიდე ტური.

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა უნგრელებთან შეხვედრა ფრედ დაამთავრა — 2:2. აღსანიშნავია, რომ ყველა პარტიაში ყაიმი აღინიშნა: კარპოვისა — პორტიშთან, პოლუგაევსკისა — რიბლისთან, ტალისა — საქსთან, კასპაროვისა — ჩოთან. შვიდი ტურის შემდეგ გათამაშებას კვლავ უნგრელთა ნაკრები ლიდერობს — 20,5 ქულა. მეორე ადგილზე არიან იუგოსლავები — 19,5, მესამეზე — სსრ კავშირის მოჭადრაკეები—19 ქულა.

სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალებმა დაამარცხეს რუმინელები — 2,5:0,5. მაია ჩიბურდანიძემ მოუგო პოლიტრონიადეს, ნონა გაფრინდაშვილმა — ბაუმშტარკს, ხოლო ნანა ალექსანდრია დაუზავდა მურეშანუს. ამ დღეს უნგრელებმა დაამარცხეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები — 2,5:0,5. ამრიგად, ქალთა შორისაც კვლავ უნგრელები ლიდერობენ — 16,5 ქულა. სსრ კავშირის ნაკრები 16 ქულით მეორე ადგილზეა.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

29 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.50 — დოკუმენტური ფილმი. 10.00 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 10.30 — შვეიცარიელთა ქართული ენა, 11.00 — „თბილისი და თბილისელები“ — საგელვიზიო ჟურნალი, 11.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „ნაპაპეკი“, 13.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 14.00 — „ქართული საბჭოთა თეატრი“ — „უბანი ჩხეიძე“, 14.45 — „წერილები სხვიგორიდან“, 15.45 — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკად გამოცხადების 35-ე წლისთავის გამო (მ.), 17.35 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 18.35 — საქართველოს მუსიკალური ახალგაზრდობა — ყრილობას, 19.00 — „მოამბე“, 19.30 — „მე-9 სგუფი“ (მ.), 20.30 — სპორტული პროგრამა — ფიგურისტები ხსნიან სიზონს (მ.), 21.15 — „ქართული საესტრადო მელოდიები“, 21.40 — მოლგვილმები, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — ალექსანდრე ბლოკის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. გადმოცემა საბჭოთა ავშირის სახელმწიფო დიდი აკადემიური თეატრიდან (მ.), 24.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 15.35 — ჩვენს დიად სამშობლოში — საგელვიზიო დოკუმენტური ფილმი „თქმულება სვეიზზე“, 16.25 — მუსიკალური ფილმი, 17.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 17.55 — საგელვიზიო მხატვრული ფილმი „ჩრდილოეთის პაპარაცა ლ.“, 18.50 — საგელვიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოქმედი ადამიანი“, 19.10 — „საესტრადო პანორამა“.

რედაქტორის მოადგილე ლ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ

ᲮᲔᲚᲛᲐᲠᲯᲕᲔᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ბევრ კულტურის სახლთან თუ კლუბთან გახსნილი თვითმოქმედი წრეები მართლაც კარგ საქმეს აკეთებენ. ასეთ წრეებს შორის, უდავოდ, ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკის პროფკავშირთა კულტურის სასახლის ტექნიკური შემოქმედების განყოფილებასთან არსებული რადიოს, ავიამოდელისტთა, ფოტო და კინომოყვარულთა წრეები, ფოტოკლუბი და სასწავლო კინოსტუდია.

ამ წრეებში ოთხასამდე მოსწავლე სტუდენტი და უფროსი ასაკის ადამიანია გაერთიანებული. ისინი დიდი გატაცებით სწავლობენ, მუშაობენ და უკვე არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება, დიპლომი თუ მედალი აქვთ მოპოვებული საკავშირო და რესპუბლიკურ კონკურსებზე, ფოტოგამოფენებზე...

სასახლის ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობს წრეებსა და სტუდიებს კარგი პირობები შეუქმნას შემოქმედებითი მუშაობისათვის. აქ სწავლისა თუ შემოქმედებითი მუშაობის ყველა პროცესს გამოცდილი, თავის საქმის მოყვარული პედაგოგები უდგანან სათავეში.





ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — ნორჩ რადიომოყვარულთა წრე მუშაობის დროს; ზემოთ მარჯვნივ — ნორჩი ფოტომოყვარული ზ. მიქელაძე; ქვემოთ — ავიამოდელისტთა წრის მოსწავლე გ. მანუკოვი ანყობს თვითმფრინავის მოდელის ძრავას.

Ზ. ᲓᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲙᲐᲠᲒ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲢᲐᲣᲠᲐᲪᲘᲐ



ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲗᲐᲜ ახლოს არის ერთი უძველესი ქართული სოფელი თამარაშენი — ივანე მაჩაბლის სოფელი.

აქ, თამარაშენში დგას გემონებით ნაგები ივ. მაჩაბლის სახლი, რომელიც ეძმთასლაში უყურადღებობით და უპატრონობით ლამის გაპარტახდა. ავი ხელი კარ-ფანჯრებსა და სახლის სხვა ხის მასალასაც მისწვდ